სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 მაისი 2006 №99 (2721) ფასი 50 თეთრი




## განვსაჯოთ, ვინ განსაჯოს

2



## ბლექბერნმა ჩელსი მოინელა

რით დაემსგავსა მაურინიუ ქართველ მწვრთნელებს

3



## ფრანგები ქართველებს იაპონიაში არ უშვებენ

ბორჯღალოსნები ალუბლების გასასინჯად მიდიან

13

# ჩხირი კედელს: საჩხერე უმაღლესშია

## მერანმაც არ იჭაკა, ისიც მარაქაშია



საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გეოგრაფია გაფართოვდა — მომდევნო სეზონში ლიგას საჩხერეც უმასპინძლებს.

გუშინ პირველი ლიგის უდავო ლიდერებმა საჩხერის „ჩიხურამ“ და თბილისის „მერანმა“ სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე უმაღლესში გადასვლა გაინაღდეს. მათ აქამდე არასდროს უთამაშიათ უმაღლეს ლიგაში.

საპლეიოფო მესამე ადგილი „გაგრას“ ხელშია, გადასასვლელ მატჩში თამაშის მოსურნე კიდევ ერთი გუნდი კი ალბათ აგარის „მეშაქრე“ იქნება. მისი დაწევის მცირე შანსს ახალციხის „მესხეთი“ ინარჩუნებს.

„ლიახვს“, „იმედს“ და „საგარეჯოს“ კი საქმე მისალოცად სულაც არ აქვთ — ისინი პირველ ლიგას დაემშვიდობნენ.

# მიდი, გეორ, მიდი, გია, თქვენთანაა გეორგია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო ცამეტმაისობას ორლარიანებით შეხვდება



**13 მაისი** — აბა, ამ თარიღს რა შეხსენება სჭირდება ქართული ფეხბურთის ქომაგთათვის?! თბილისის „დინამოს“ იმ დიდი ტრიუმფიდან წლეულს 25 წლისთავი სრულდება და, როგორც ყველა საქმეში, „მრგვალ თარიღს“ ამ ამბავში განსაკუთრებულად აღნიშვნა უხდება...

— „დინამოსთვის“ და ქართული ფეხბურთის ნებისმიერი ქომაგისთვის, თქმა რად უნდა, 13 მაისი ღირსშესანიშნავი თარიღია და, ბუნებრივია, ჩვენც გვსურს, რომ 25 წლის იუბილეს ღირსეულად შევხვდეთ — გვითხრა „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა *ბუბა ტყავაძემ* — ჩვენ წარმატებით დავასრულეთ მოლაპარაკება ეროვნულ ბანკთან და სპეციალურად ამ თარიღისთვის მოიჭრება 2-ლარიანი საიუბილეო მონეტები. გარდა ამისა, ფეხბურთის ფედერაციის ბოლო აღმასკომის სხდომაზე ფედერაციამ და პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ამ ტრიუმფის 25 წლისთავის აღნიშვნის სურვილი გამოთქვეს, რაშიც თანადგომა გვთხოვეს და, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გვქონია. 13 მაისს არის დანიშნული საქართველოს თასის ფინალიც, რაც ვფიქრობ, ასევე კარგი იდეაა. დეტალებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ჩვენ ფედერაციასთან ერთად ვმუშაობთ. მიგვაჩნია, რომ საიუბილეო საქმეს ერთად უკეთ გავაკეთებთ. „დინამოს“ ისტორიას თვალს ერთხელაც გადავავლებთ და ამ თარიღს ისე აღვნიშნავთ, როგორც „დინამოს“ და მთლიანად ქართულ ფეხბურთს ეკადრება.

**ქობა ინასარიძე**

1 აპრილს რუსეთის პრემიერლიგის მესამე ტურის შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ მოსკოვური „სპარტაკი“ და ცესკა დადგნენ. პროფლიგის ხელმძღვანელობამ აჟიტირებული მატჩის განსასჯელად უცხოელი არბიტრი მიიწვია — მატჩის განსჯა ცნობილ იტალიელ ფიფას არბიტრ მასიმო დე სანტისს ანდეს... გუშინწინ უკრაინის თასის ფინალში კიევის „დინამო“ ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ შეხვდა. არბიტრი ამ შემთხვევაშიც უცხოელი იყო — პორტუგალიელი ლუიშ ბაპტიშტა. მაგალითების მოყვანა პრობლემა არ არის. პრინციპული შეხვედრებისთვის უცხოელის არბიტრის მიწვევის პრაქტიკა კარგა ხანია, აპრობირებულია და თუნდაც ის კმარა, საპენსიოდ გამზადებულ პიერლუიჯი კოლინას ინგლისურ პრემიერლიგაში ორწლიან სამსახურს რომ სთავაზობდნენ...



იტალიელმა მასიმო დე სანტისმა ცსკა — „სპარტაკი“ განსაჯა

# განვსაჯოთ, ვინ განსაჯოს

სათქმელზე გადავიდეთ: 13 მაისს საქართველოს თასის ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს. თბილისის „ამერსა“ და „ზესტაფონს“ ისტორიაში პირველი ქართული ტიტულის დანადავლება შეუძლიათ. ესეც არ იყოს, საქართველოს თასი ორივე გუნდისთვის ევროსარბიელზე მოხვედრის ერთადერთი გზაა და მატჩის პრინციპულობაზე საუბარი ზედმეტადაც მიგვაჩნია. ხომ არ შეიძლებოდა, ზემოთ ნახსენები პრაქტიკით, ანუ უცხოელი არბიტრის სამსახურით სწორედ ახლა გვესარგებლა?

თუ მეხსიერება არ მღალატობს, თავის დროზე ამგვარი ვარიანტი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც არ გამორიცხა. ამ მოსაზრებას, ბუნებრივია, მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს და არც მათი სავარაუდო არგუმენტაცია იქნება მოულოდნელი.

### მომხრე

— უცხოელი არბიტრი მაქსიმალურად ნეიტრალურია და თუნდაც იდეალურად ვერ განსაჯოს მატჩი, მხარეებს ნაკლები საბაბი ექნებათ ტენდენციურობაზე სასაუბროდ.

— უცხოელი არბიტრის მოწვევა მარკეტინგული თვალსაზრისითაც არ უნდა იყოს წამგებიანი ვარიანტი. მართალია, მისი სამსახური გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ თავად ეს ფაქტი ბუნებრივად გაზრდის მატჩისადმი გულშემატკივართა ინტერესს.

— ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად ობიექტური მსაჯობისთვის იქნებიან განწყობილნი და შესაძლებლობის მაქსიმუმის წარმოჩენას უკეთ შეძლებენ.

— თუნდაც მომწვევმა (ფეხბურთის ფედერაციამ) რომელიმე გუნდის სასარგებლოდ არბიტრზე ზეწოლის მოხდენა მოისურვოს, ზემოქმედების ხარისხი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ქართველი არბიტრის შემთხვევაში.

### მოწინააღმდეგე

— სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება ისეთი უცხოელი არბიტრის მონახვა, რომელიც ქართველ კოლეგაზე არანაკლები გულმოდგინებით შეასრულებს დაკვეთას.

— უცხოელ არბიტრს შეუძლია გააფუჭოს თამაში, მიიღოს კუთვნილი (ეგებ არაკუთვნილიც), ქუდი დაიხუროს და თავი დაგვიკრას — არც სინდისის ქენჯნაზე ან საგაზეთო მიმოხილვებში გამოჭენებაზე დასჭირდება ფიქრი და ვერც ამირან კაჭახიძის კომიტეტი მოუსჯის დისკვალიფიკაციას.

— ადგილობრივი მასშტაბის მნიშვნელოვან თამაშებში მსაჯობის პრაქტიკას ვართმევთ ქართველ არბიტრებს, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქოლოგიაზე (უნდობლობის ფაქტორიდან გამომდინარე), შესაბამისად კი — კვალიფიკაციაზეც.

მაშ რა ვქნათ? გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია. თუმცა პირველ ეტაპზე ის მაინც შეგვიძლია, რომ ამ საკითხზე სერიოზულად დავფიქრდეთ. ოღონდ დრო არც ისე ბევრია, რომ ფიქრს კვირები მოვანდომოთ. თუკი არგუმენტად საქართველოში „ახალგაზრდა, კვალიფიციური და პერსპექტიული“ არბიტრების საკმარის ოდენობას დავასახელებთ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსული ან უკრაინული სამსაჯო კორპუსების განკარგულებაში გაცილებით მეტი და არანაკლებ კვალიფიციური კადრია. მოწვევით კი, თუკი გადავწყვეტთ, სულ მცირე, ფიფას არბიტრი უნდა მოვიწვიოთ, იდეალურ შემთხვევაში კი ისეთი, ფეხბურთის ქომაგმა მისი გვარის გაგონებაზე მხრები არ აიჩეჩოს.

**გიორგი ნოზაძე**

# სვანაძემ და სტუდენტებმა ნულებით დაიწყეს



ზაურ სვანაძეს, როგორც მთავარ მწვრთნელს, შვედეთში დებიუტი ჰქონდა — მესამე ლიგის პირველ ტურში მისმა გაწვრთნილმა GMFF-მა ნულოვანი ფრე ითამაშა.

90-იან წლებში სვანაძე შვედეთში ფეხბურთს თამაშობდა და მწვრთნელობაც იქ დაიწყო — მალდარიეტის MAIF-ის მოთამაშე-მწვრთნელი იყო, ახლა კი ამავე ქალაქის გუნდის მთავარი მწვრთნელია.

— ამ სეზონში GMFF-ის მიზანი თორმეტგუნდა მესამე ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ეს მოყვარულთა გუნდია, რომლის ფეხბურთელები ძირითადად სტუდენტები არიან, თუმც მათ შორის ერთიორი კარგი მონაცემების მოთამაშეცაა — გვითხრა სვანაძემ.

ცნობისთვის: შვედეთის მესამე ლიგა რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ოქტომბერში დასრულდება.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ვინ აიწონა და ვინ დაიწონა

**პირველი** ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მთავარი გაირკვა — საჩხერის „ჩიხურა“ და თბილისის „მერანი“ მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

გაირკვა ისიც, რომ საუმაღლესლიგო გადათამაშებაში ითამაშებს „გაგრა“, რომლის მეტოქეც უმაღლესის მე-14 ადგილოსანი იქნება.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვიან „მეშაქრე“ და „მესხეთი“, თუმცა ახალციხელებს საამისოდ უმნიშვნელო შანსიღა დარჩათ.

ბოლო სამ გუნდს გავარდნისგან უკვე ველარაფერი იხსნის, „მალაროელი“ და „ზესტაფონი 2“ კი სასწაულის იმედად თუ იქნებიან.



ომარ მაჭავარიანი საჩხერიდან

მოსახდენი მოხდა: „ჩიხურა“ უმაღლეს ლიგაშია

საქართველოს 17 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე

XXXII ტური

3 მაისი, ოთხშაბათი

ჩიხურა 1:0 საგარეჯო
მესხეთი 3:1 ზუგდიდი
გურია 2:3 მერანი
მეშაქრე 2:1 რუსთავი
მალაროელი 1:1 გაგრა
ვიტ ჯორჯია 22:1 იმედი
ამერი 2 0:1 თბილისი 2
ზესტაფონი 2 1:0 ლიახვი
მეშახტე 2:0 დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 32 | 23 | 5 | 4 | 83:31 | 74 |
| მერანი | 32 | 22 | 5 | 5 | 56:24 | 71 |
| გაგრა | 32 | 18 | 10 | 4 | 46:20 | 64 |
| დინამო 2 | 32 | 17 | 7 | 8 | 53:24 | 58 |
| მეშაქრე | 32 | 17 | 4 | 11 | 45:32 | 55 |
| მესხეთი | 32 | 15 | 6 | 11 | 44:29 | 51 |
| ამერი 2 | 32 | 14 | 8 | 10 | 37:25 | 50 |
| რუსთავი | 32 | 13 | 9 | 10 | 46:32 | 48 |
| გურია | 32 | 13 | 5 | 14 | 45:43 | 44 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 32 | 12 | 6 | 14 | 39:40 | 42 |
| თბილისი 2 | 32 | 11 | 8 | 13 | 28:37 | 41 |
| ზუგდიდი | 32 | 11 | 7 | 14 | 20:29 | 40 |
| მეშახტე | 32 | 10 | 9 | 13 | 34:38 | 39 |
| ზესტაფონი 2 | 32 | 9 | 8 | 15 | 23:41 | 35 |
| მალაროელი | 32 | 9 | 7 | 16 | 37:55 | 34 |
| საგარეჯო | 32 | 7 | 9 | 16 | 27:42 | 30 |
| იმედი | 32 | 5 | 2 | 25 | 19:79 | 17 |
| ლიახვი | 32 | 4 | 1 | 27 | 23:84 | 13 |

# ბლექბერნმა ჩელსი მოინელა

## ხიზანიშვილი თუგაის აქებს

**პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნ როვერსმა“ შინ ლონდონის „ჩელსი“ დაამარცხა, რითაც მეექვსე ადგილი ანუ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. „ჩელსის“ ამ მატჩამდე ჰქონდა განაღდებული პრემიერლიგის ჩემპიონობა და ლონდონელთა მენეჯერმა ჟოზე მაურინიუმაც გადახალისებული შემადგენლობით ათამაშა გუნდი...**




„ბლექბერნი“ მეტწილად კრეიგ ბელამით და მორტენ პედერსენით უტევდა ჩემპიონს. მატჩში პირველი საგოლე შანსიც ბელამის ჰქონდა — მაიკლ გრეის პასის შემდეგ ძელს გაარტყა ბურთი.

გამარჯვების გოლი კი ბლექბერნელებმა ასე გაიტანეს — 43-ე წუთზე რობ სევიჯმა ჯარიმა ჩააწოდა და სტივენ რიდმა თავურით შეაგდო.

ამის შემდეგ „ჩელსი“ მნიშვნელოვან უპირატესობას დაეუფლა, ბურთს კარგად აკონტროლებდა და რამდენჯერმე მწვავედაც დაემუქრა მეტოქეს.

„ლონდონელებს ბურთის ფლობაში უპირატესობა რომ ჰქონდათ, ეს არც იყო გასაკვირი — „ჩელსი“ რა დონის გუნდია და რა რანგის ფეხბურთელები ჰყავს, საყოველთაოდაა ცნობილი. „ჩელსი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია მსოფლიოში. ჩვენი მიზანი კი ამ შეხვედრაში მხოლოდ სამი ქულა იყო და არა ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში უპირატესობა ან ხარისხიანი თამაში“ — გვითხრა ხიზანიშვილმა.

შეიძლება ითქვას, ზურამ უშეცდომოდ ითამაშა, მისი ზონიდან ლონდონელებს სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ.

„მწვრთნელმა ერნან კრესპოს ამოკეტვა დამავალა. მას პერსონალურად არ ვმეურვეობდი, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, როცა „ჩელსი“ ფლანგებიდან შეუტევს და კრესპო საჯარიმოში შეიჭრება, არ მოსცილდეო. კრესპოს სახიფათო მომენტი არ შეუქმნია, ერთი ის იყო, როცა ეიდურ გუდიონსენის დარტყმული ჩვენი კარის ძელმა აისხლიტა, გადმოვარდნილი ბურთისთვის მე და კრესპო გავქანდით, მაგრამ ბურთს ვერც ერთი შევწვდით“ — გვიამბობს ხიზანიშვილი.

## მაურინიუ ქართველ მწვრთნელებს დაემსგავსა — წაგებას მსაჯს აბრალებს

ნამატჩევს კი მაურინიუმ ეს თქვა: „ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს. დარწმუნებული ვარ, ორივე 11-მეტრიანი ნაღდი იყო, მესამეზე კი თავს ვერ დავდებ. მსგავსი სირთულეები ამ სეზონში უხვად მქონდა და ჩვენ ამ ყველაფერს გავუძელით, მაგრამ დღეს მეტისმეტი იყო. „ბლექბერნმა“ დაიმსახურა ევროტურნირზე თამაში, მაგრამ მათ ასეთ გამარჯვებას დამსახურებული არ ეთქმის“.

მაურინიუს სიტყვების კომენტარი ხიზანიშვილს ვთხოვეთ: „მაურინიუ იმ ეპიზოდებზე ამბობს, როცა ჩვენს საჯარიმოში ჯერ შონ რაიტ-ფილიპსი წაიქცა, მერე კი აარონ მოკოენამ კრესპოს მაისურზე დაქაჩა, მაგრამ ისიცაა, რომ მსაჯს ჩვენს სასარგებლოდაც შეეძლო პენალტის დანიშვნა. ასე იყო თუ ისე, სამი ქულა მოვიპოვეთ და თუ რა თქვა მაურინიუმ, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს“.

ბლექბერნელთა მენეჯერმა მარკ ჰიუზმა არაერთხელ ნაცადი დაცვითი ვარიანტი აარჩია.

„ასეთი ტაქტიკური ვარიანტი მართლაც კარგად გამოგვდის. ეს მოდელი ეფექტურად რამდენჯერმე გამოვიყენეთ, მათ შორის სტუმრად „ნიუკასლთანაც“. „ჩელსისთან“ მატჩში წამყვანი მცველი რაიან ნილსენი გვაკლდა, მაგრამ საქმეს მაინც გავართვით თავი“ — გვითხრა ზურამ.

„აღფრთოვანებულები ვართ. წინა სეზონში „ბლექბერნი“ არგავარდნისთვის იბრძოდა, ახლა კი უეფას თასზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ცხოვრებაში ხანდახან იმას ვერ აღწევ, რასაც იმსახურებ, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით“ — ეს უკვე ბლექბერნელთა თავკაც მარკ ჰიუზის სიტყვებია.

ხიზანიშვილმა კი ისიც გვითხრა, რომ ამ შეხვედრაში „ბლექბერნიდან“ საუკეთესო მოთამაშე მისი თურქი მეგობარი თუგაი ქერიმოღლუ იყო: „ის ძალიან ჭკვიანია, გამოცდილებით შეუძლია, სიტუაცია წაიკითხოს. მისმა ინდივიდუალურმა თამაშმა დიდად განაპირობა მატჩის შედეგი. თუგაი გუნდში ერთადერთია, თამაშის საკუთარ თავზე აღება რომ შეუძლია“.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერი ბოლო გაჩერება

## ხვადაგიანი 13 მაისს გასამებას აპირებს



13 მაისს ვახტანგ ხვადაგიანს (მარცხნივ) და „ამერს“ სეზონის მთავარი მატჩი ელით

„ამერის“ ნებისმიერი მატჩის შემდეგ ქომაგები თუ ჟურნალისტები საუკეთესოდ ხან ერთ, ხან მეორე ფეხბურთელს ასახელებენ. ამ დროს ვახტანგ ხვადაგიანის გვარს იშვიათად თუ გაიგებთ. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ხვადაგიანმა ყველა შეაგუა, რომ ნებისმიერ შეხვედრას სტაბილურად მაღალ დონეზე ატარებს და ამას ჩვეულებრივ ამბად აღიქვამენ. „სიონთან“ თასის საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაშიც ასე იყო. ქუთაისის „ტორპედოში“ საქართველოს თასის ორგზის მომგები ხვადაგიანი კი გასამებას 13 მაისს აპირებს, თუმცა მასთან საუბარი განვლილი ნახევარფინალით დავიწყეთ...

— რთული თამაში იყო თუნდაც იმ მხრივ, რომ ჯერ თერთმეტმეტრიანი დანიშნეს ჩვენს კარში და მერე კი, პირველივე ტაიმში კაცი გაგვიძევეს.

— იმ მომენტში, როცა ლევან კვარაცხელიამ გიორგი დავითნიძეს წითელი ბარათი უჩვენა, თუ გქონდა იმედი რომ გამარჯვებას მაინც შეძლებდით?

— ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იყო, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო, თანაც „სიონმა“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. შინაგანად გამარჯვების იმედი პირველიდან ბოლო წუთამდე მქონდა.

— ნამატჩევს გიორგი ჩიხრაძემ განაცხადა, ჩემი გუნდი ნერვიულობდაო. შენთვის რამდენად შესამჩნევი იყო ეს?

— გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომლებიც ამ დონეზე პირველად თამაშობდნენ. არ ვიცი, გარედან როგორ ჩანდა, მაგრამ გარკვეული ნერვიულობა, რა თქმა უნდა, იყო.

— მეორე წყვილიდან რომელი გუნდის მეტოქეობა უფრო სასურველი იყო თქვენთვის?

— ალბათ „ზესტაფონის“, თუმცა როცა ფინალს თამაშობ, მეტოქეს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მოედანზე უნდა გახვიდე და შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო.

— როგორ შეაფასებ შანსებს „ამერი“ — „ზესტაფონის“ წყვილში და ვის რა უპირატესობა აქვს?

— შანსები ალბათ თანაბარია. „ზესტაფონის“ უპირატესობა რამდენიმე გამოკვეთილი ლიდერია, პირველ რიგში, ზურაბ იონანიძე. „ამერის“ კოზირი კი გუნდური თამაშია.

— რამდენად მოსალოდნელი იყო ჩავარდნა, რომელსაც ჩემპიონატში მოტივაციის დაკარგვა მოჰყვა?

— ფაქტია, რომ წლეულს არ აღმოვჩნდით მზად ჩემპიონობისთვის საბრძოლველად, არადა, ესეც სავსებით რეალური იყო. „ამერი“ ახალგაზრდა გუნდია, დღითიდღე იზრდება და წლევანდელი სეზონიც კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის.

— ჩემპიონობისთვის მზად არ აღმოვჩნდითო, თქვი. იმისთვის რამდენად ხართ მზად, უეფას თასზე გასვლის შემთხვევაში ღირსეულად წარადგინოთ ქართული ფეხბურთი?

— დღეს რა დონეზეც ვართ და იმის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე რა გუნდები ასპარეზობენ, უეფას თასის პირველი რაუნდის გავლა არ უნდა გაგვიჭირდეს.

— „ამერთან“ კონტრაქტი როდემდე გაქვს?

— პატარა ასაკის აღარ ვარ. „ამერის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმება მაქვს, სანამ თამაშს შევძლებ, ამ გუნდში დავრჩები. როდის იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ კარიერას აუცილებლად „ამერში“ დავასრულებ.

— ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამოცდილი ფეხბურთელი ხარ. საინტერესოა შენი შეფასება — რამდენად ნიჭიერი თაობა მოდის? თუ შეგიძლია, შეადარე დღევანდელობა იმ დროსთან, როცა თავად იწყებდი თამაშს...

— ერთი შეხედვით, საქართველოში ფეხბურთის ბუმია, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდები ძნელად იზრდებიან — ამის მიზეზი არასათანადო პირობებიცაა. თუმცა ჩემ დროს ფეხბურთისადმი მიდგომაც სხვანაირი იყო...

— შენი გადასაწყვეტი რომ იყოს, რომელ რგოლში გააძლიერებდი „ამერს“?

— ცალკეულ რგოლს ვერ გამოვყოფ. ისე, გაძლიერება არც ერთს აწყენდა.

— დაბოლოს, ისევ 13 მაისი...

— ახლა პრობლემებზე და ხელისშემშლელ ფაქტორებზე ლაპარაკის დრო არ არის. ყველაფერი ამ ერთი მატჩისთვის გვაქვს გადადებული. უნდა მოვიგოთ!

**გიორგი ნოზაძე**

# ძველ-ახალი პრემიები თასზე ჰკიდია



„ჩვენ ფინალში თამაში ღმერთმა გვარგუნა. უფალმა იცის, „ზესტაფონი“ თამაშების ჩაწყობაზე არ მუშაობს, რაც ძალიან ბევრმა დაგვაბრალა... თავიდან ბოლომდე მართლები ვართ, სხვა გუნდებმა კი თავიანთ გულებში ჩაიხედონ“ — გვითხრა „ზესტაფონის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ჩხეტიანმა, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ. შარშან „ზესტაფონმა“ საქართველოს თასის ფინალი „ლოკომოტივთან“ წააგო და ევროთასებს მიღმა დარჩა, წლეულს კი უსიკვდილოდ მოგებას აპირებს — 13 მაისს ფეროელებს „ამერთან“ წლის მატჩი აქვთ...

— თასის ფინალში „ამერს“ ხვდებით. რას იტყვი ამ გუნდზე, მათგან ვის გამოარჩევ?

— „ამერი“ კარგად დაკომპლექტებული გუნდია, მაგრამ ვინმეს გამორჩევა მიჭირს.

— ფინალში „ამერთან“ უფრო გერჩივნა თამაში თუ „სიონთან“?

— სულერთია. განა იმიტომ, რომ ორივეს აუცილებლად მოვუგებთ — ფინალია და ქვედალიგელსაც კი შეუძლია ერთი მატჩის კარგად ჩატარება.

— ადრე ნახევარმცველი იყავი, ამ სეზონში კი სულ მარცხენა მცველად თამაშობ...

— გუნდს სადაც დავჭირდები, იქ უნდა ვითამაშო. შემტევი მცველი ვარ და თანამედროვე ფეხბურთში სხვანაირად არც შეიძლება — დღეს თუ მცველი იერიშებში ვერ ერთვება, არაფერი გამოუვა...

— „ზესტაფონში“ ცუდი ფინანსური მდგომარეობაა და ფეხბურთელებს კარგა ხნის ხელფას-პრემიები ასალები აქვთო. სიმართლეა?

— დასამალი არაფერია, კლუბის პრეზიდენტმა გვითხრა, თუ უეფას თასზე ვერ გახვალთ, პრემიებს არ მიიღებთო. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ და თასი მოვიგოთ. ეგაა, „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობას პირველ წრეშივე არ მოუთხოვია, აუცილებლად ევროტურნირებზე უნდა მოხვდეთო. ეს პირობა მეორე წრეში დაითქვა...

— კი მაგრამ, პირველ წრეში რამდენიმე თამაში წააგეთ და ქულებით საკმაოდ ჩამორჩებოდით ლიდერთა ჯგუფს...

— საქმეც ეგაა. ხელმძღვანელობას სეზონის დაწყებისთანავე რომ ჩემპიონობა დაესახა მიზნად, ჩემპიონები გავხდებოდით. პირველი წრე ახალგაზრდების გამოცდას დასჭირდა, მთლიანად მომავალ თაობაზე კეთდებოდა აქცენტი, ახლა კი სხვაგვარადაა საქმე.

**ილია ნანობაშვილი**




2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე



# ლიტვამ ამხანაგურად გაგვაოცა

**ლიტვის** ნაკრებმა სენსაცია მოახდინა — ამხანაგურ მატჩში პოლონეთს ანდრიუს გედგაუდასის გოლით სტუმრად 1:0 მოუგო. ბალტიისპირელებმა ეს კინკილა ბურთი მე-13 წუთზე შეაგდეს და მართალია, დარჩენილ დროში პოლონელებს ბლომად საგოლე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ არც ლიტვა იყო უქმად — პირველ ტაიმშივე ირმანტას ზემლიკასმა თავით დაარტყა და პოლონელთა მეკარე ირჟი დუდეკმა სასწაული ბურთი აიღო.

სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის მომლოდინე მასპინძლებს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდათ, რასაც ლიტვაზე ვერ ვიტყვით.

ბალტიისპირელთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა ნამატჩევს ეს თქვა: „ამ მოგებამ ბიჭებს საკუთარი თავის რწმენა უნდა განუმტკიცოს, რაც პატარა საქმე არაა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ნაკრები შესარჩევ ციკლს სრულ მზადყოფნაში შეხვდება“.

და აქვე ლიტველთა შემადგენლობაც: *ჟ. ჟუტაუტასი, პაულაუსკასი, კლიმავიჩიუსი, ზემლიკასი, დ. ჟუტაუტასი, მორინასი, პრეიკშაიტისი, სავენასი (ზალიუკასი 90), გედგაუდასი (კავალიაუსკასი 73), ბენიუშისი (პილიბაიტისი 68), ტრაკისი (ლუკშისი 79).*

**ილია ნანობაშვილი**

# ამერული სელექცია

**თბილისის** პირველობა „სკოლბურთში“, რომელიც ორგანიზატორებმა „პეპსის თასად“ მონათლეს, დასასრულს უახლოვდება. მალე რაიონებში გამარჯვებული ათი სკოლის გუნდი საუკეთესოს ტიტულთან ერთად სხვა პრიზებსაც შეეცილება ერთმანეთს.

გლდანის რაიონში გამარჯვებული 115-ე საშუალო სკოლის გუნდი გახდა, რომელიც უშუალოდ ემიჯნება საფეხბურთო სკოლა „ამერს“. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო „ამერის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება: 115-ე საშუალო სკოლის საფეხბურთო გუნდის ათივე წევრს „ამერი“ თავისთან ეპატიჟება და ერთი წლის განმავლობაში ათავისუფლებს ყოველგვარი გადასახადისგან. ეს პირველი ნაბიჯია იმ მიზნისკენ სავალ გზაზე, რასაც იმთავითვე ისახავდნენ „სკოლბურთის“ ორგანიზატორები — ტალანტების აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვა. საკუთარი მონაცემები პატარებმა უკვე წარმოაჩინეს, ახლა ჯერი უფროსებზეა და კარგი იქნება, „ამერის“ მაგალითს სხვა კლუბებიც თუ გადაიღებენ.

**გიორგი ნოზაძე**

# სლოვაკეთის

## ალალი კახელიშვილი: ლოკომოტივის დაშლამ თამაშის ხალისი დამიკარგა

**საქართველოს** ჩემპიონატი თუ თასის ფინალიც გადაივლის და 14 მაისს ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება. თურქეთი, სლოვაკეთი, ირლანდია და საქართველო — ეს ნაკრებები ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ერთი ადგილისთვის იბრძოლებენ და, რა თქმა უნდა, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდს ურთულესი მატჩები ელის.



გიორგი კახელიშვილი და ჰაინც ტოპმიოლერი

შეგახსენებთ, შარშან შემოდგომაზე ქართველმა 19-წლამდელებმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ესტონეთში გაიარეს. მაშინ ნაკრებს კობა ჟორჟიკაშვილი თავკაცობდა, რომელიც ახლა ჰაინც ტოპმიოლერის თანაშემწეა. ჩვენებმა ბალტიისპირეთში ლიტვასთან 3:1 და ესტონეთთან 2:0 მოიგეს, სლოვენიასთან 1:1 ითამაშეს და პირველ ადგილზე გავიდნენ.

და რა შედეგები ჰქონდათ სლოვაკეთს, ირლანდიას და თურქეთს?

**სლოვაკეთი**: ყაზახეთთან 1:0, ლიხტენშტაინთან 2:1, დანიასთან 0:0.

**ირლანდია**: ჩრდ. ირლანდიასთან 2:1, მოლდოვასთან 3:0, იტალია 4:1.

**თურქეთი**: რუმინეთთან 1:1, ალბანეთთან 2:0, მაკედონიასთან 2:2.

რაც შეეხება სლოვაკეთში გასამართი მეორე ეტაპის კალენდარს, ექვსივე მატჩი თბილისის დროით 13 საათზე დაიწყება.

19 მაისი. დუბნიცა

**საქართველო — თურქეთი**

ნიტრა

**სლოვაკეთი — ირლანდია**

21 მაისი. სენეცია

**თურქეთი — ირლანდია**

ნიტრა

**სლოვაკეთი — საქართველო**

23 მაისი. სენეცია

**ირლანდია — საქართველო**

ტრნავა

**სლოვაკეთი — თურქეთი**

საქართველოს ჩემპიონატის გადატვირთული კალენდარი კი მოგეხსენებათ და, რა გასაკვირია, რომ 19-წლამდელთა ნაკრებს ხანგრძლივი შეკრების საშუალება არ აქვს. ჰაინც ტოპმიოლერმა დაახლოებით ერთი კვირის წინ შეკრიბა გუნდი 35-ე საფეხბურთო სკოლის მინდორზე და ორმხრივი მატჩიც ათამაშა.

ამ ნაკრების ერთ-ერთი იმედი თბილისის „ლოკომოტივის“ ფორვარდი *გიორგი კახელიშვილია*, ვინც ჩემპიონატის მატჩებს ხშირად უყურებს, კარგად განასხვავებს შარშანდელ და წლევანდელ კახელიშვილს — იგი თითქოს სადღაც ჩაიკარგა...

გიორგიმ ჩავარდნის მიზეზებზე ალალად გვითხრა, თუმც თავიდან 19-წლამდელთა ნაკრებს შევეხეთ...

— ჰაინც ტოპმიოლერი 35-ე სკოლის მინდორზე დაგვაკვირდა და ასე თუ ისე, ყველა ფეხბურთელზე შეექმნებოდა წარმოდგენა. მაშინ ორმხრივი მატჩი ვითამაშეთ, სლოვაკეთში წასვლამდე კი შეკრებას ველარ შევძლებთ. სლოვაკეთში 14 მაისს, პირველ თამაშამდე 5 დღით ადრე მივდივართ და იქ მოვემზადებით.

— ტრავმის გამო რამდენიმე თამაში გამოტოვე ჩემპიონატში. ახლა როგორ ხარ?

— ნორმალურად. ტრავმა ზამთარში უფრო მაწუხებდა. პორტუგალიაში რომ ვიყავი 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, მაშინ ვიტკინე ფეხი და სამი-ოთხი თამაში გამიცდა. ჩვენი ასაკის ნაკრებში ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, ზოგს უკვე საკმარისი გამოცდილებაც აქვს და შევეცდებით, სლოვაკეთში პირველ ადგილზე გავიდეთ. ჯერ არ ვიცი, მოვხვდები თუ არა ჰაინც ტოპმიოლერის ნაკრებში, მაგრამ იმედი მაქვს, ასე იქნება. მთავარია, ფორმაში ვიყო და არავინ არაფერს დამიკარგავს. თანაც 19-წლამდელებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, ახალგაზრდულშიც რომ თამაშობს ან იქ მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

— ფაქტია, შენ ისე ლაღად და ეფექტურად ვერ თამაშობ, როგორც შარშან...

— ჩემთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო „ლოკომოტივის“ დაშლა. როგორია, საჩემპიონო გუნდისგან თითქმის აღარაფერი არ დარჩა... ამან თამაშის სტიმული დამიკარგა — ფეხბურთელი ხარ, გინდა, მინდორზე გახვიდე და მოიგო, მაგრამ გუნდს ძალა არ შესწევს.

— ალბათ, ნანობ, რომ „ლოკომოტივში“ დარჩი. ნუთუ მიწვევები არ გქონდა?

— კი, იყო წინადადებები, მაგრამ „ლოკომოტივთან“ შეთანხმებული ვიყავი, რომ გუნდს არ დავტოვებდი. სეზონის ბოლოს კიდევ მექნება წინადადებები და ვნახოთ... თუ „ლოკომოტივი“ გაძლიერდება, ალბათ არ წავალ, მაგრამ შესაძლოა, ისედაც მომიწიოს დარჩენამ — კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მიმთავრდება. ისე, უპერსპექტივო გუნდი არ გვყავს, ეგაა, გამოცდილების დაგროვებას დრო სჭირდება. ჯერჯერობით კი... ალალად გეტყვით, ჩემი ჩავარდნა „ლოკომოტივის“ დასუსტებას მოჰყვა.

**ილია ნანობაშვილი**

# სკოლბურთი ფინალური ეტაპის წინ

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციის ინიციატივით სკოლბურთის გათამაშებას დაუდო სათავე, რომელსაც გენერალური სპონსორის საპატივცემულოდ „პეპსის თასი 2006“ ეწოდა (გათამაშების კიდევ ერთი სპონსორი კომპანია „თოლიაა“). წამოწყებას სახელმწიფო სტრუქტურებმაც დაუჭირეს მხარი — ქვეყნის განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, ასევე კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრომ, ისევე როგორც დედაქალაქის მერიამ, ყველაფერი გააკეთეს, რათა საკვალიფიკაციო ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო.

საგულისხმოა, რომ სკოლბურთის გათამაშებაში თბილისის უკლებლივ ყველა სკოლა ჩაება. მატჩები დედაქალაქის ათ უბანში ჩატარდა და დაახლოებით თვენახევრიანი შეჯიბრებების შემდეგ საუკეთესო ათი გუნდიც გამოვლინდა: ჩუღურეთში მე-4 სკოლის გუნდმა იმარჯვა, დიდუბეში — 166-ე სკოლამ, გლდანში — 115-ე სკოლამ, საბურთალოზე — 62-ე სკოლამ, ისანში — 99-ე სკოლამ, მთაწმინდაზე — 53-ე სკოლამ, კრწანისში — 65-ე სკოლამ, სამგორში — 176-ე სკოლამ, ნაძალადევში — 48-ე სკოლამ, ვაკეში კი 195-ე სკოლამ.

ფინალური ეტაპი, რომელშიც ხსენებული სკოლების გუნდები ითამაშებენ, მაისის შუა რიცხვებში დაიწყება — მატჩებს სპორტის სასახლე ან „ირაო“ უმასპინძლებს. დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ათივე ფინალისტი სპორტული ეკიპირებით და ინვენტარით დაჯილდოვდება, ხოლო „პეპსის თასი 2006“-ის ორგანიზატორთა განცხადებით, საუკეთესო გუნდები, ისევე როგორც რჩეული ფეხბურთელები, ფასიანი პრიზებით დაჯილდოვდებიან.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური**


**ს.კ. ლოკომოტივი**

**ახორციელებს**

**ს.კ. ბარსელონას**

ტალანტების მოძიების პროგრამას
და ატარებს სელექციას
1991-1998 წლებში დაბადებულ
ბავშვებში. რეგისტრაციისათვის
გთხოვთ მობრძანდეთ 1 მაისიდან
20 მაისამდე (11-15 საათამდე)
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე,
ჭავჭავაძის გამზირი №74.
თან იქონიეთ ბავშვის დაბადების
მოწმობა, ფოტოსურათი
და მშობლების პირადობის
დამადასტურებელი მოწმობა.

**საკონტაქტო ტელეფონი: 23-04-58**

# ქალს ეფექტი სჭირდება

**ფრენკ ლამპარდის** ცოლს თურმე, სურს, რომ მისი ქმარი თამაშით რონალდინიოს ჰგავდეს. ეს თავად „ჩელსის“ ვარსკვლავმა აღიარა.

იქნებ, მოგეხსენებათ, რომ ლამპარდის მეორე ნახევარი, ელენი კატალონიელია. ის ბარსელონიდანაა და „ბარსას“ თამაშებზე გაზრდილს თურმე გული წყდება, მისი ქმარი ბრაზილიელის მსგავსად ტრიუკებს რომ არ აკეთებს. შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ლამპარდი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში რონალდინიოს შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა.

„ბარსელონაში დაბადებული და გაზრდილი ელენი ჩემი შემყურე ცოტა გულდაწყვეტილია, რონალდინიოსავით ეფექტებს რომ არ მივდევ. იძულებული ვხდები, განვუმარტო, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ფინტების კეთება არ შეიძლება“ — ამბობს 27 წლის ლამპარდი, რომელიც მეუღლესა და ქალიშვილ ლუნასთან ერთად საბოლოოდ აუცილებლად ესპანეთში დასახლდება, ოღონდ მას მერე, რაც თამაშს თავს დაანებებს. ლამპარდი განაგრძობს:

„დიახ, თამაშს თავს რომ დავანებებ, სიამოვნებით დავსახლდები ესპანეთში. ლუნა ნახევრად ესპანელია და მინდა, დედის სამშობლოს კარგად იცნობდეს. რა თქმა უნდა, მეც მხიბლავს მზიან მხარეში ცხოვრება, თუმცა ერთ რამეზე გული მწყდება. ამასწინათ სახლში „ჩელსის“ ორი მაისურა მივიტანე და ერთი ბავშვს ჩავაცვი. ელენმა გაიცინა, ლუნა „ჩელსის“ ფორმიდან ამოიყვანა და მას მერე ამ მაისურებს უჯრის მეტი არაფერი უნახავთ.“

და კიდევ: „ბავშვობაში ვექილობაზე იმიტომ ვოცნებობდი, რომ ტელევიზორში სერიალ „ლოს ანჯელესის კანონს“ გადასცემდნენ. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, მოკლე სამუშაო დღე რომ მაქვს. ზოგი ჩემი მეგობარი დილის 6 საათზე დგება და საღამოს შვიდამდე სამსახურშია. რომ მომკლა, მე ამას ვერ გავაკეთებ“.

**პაპუნა ძიძია**



# რეალი ლონდონში თევზაობს




# მსუქანი ჭიაყელა: 35 000 000 €

**გასულ კვირას** ლონდონის „არსენალის“ პრეზიდენტმა სევდიანად განაცხადა, ვეჭვობ, მომავალ სეზონში ტიერი ანრიმ ჩვენთან დარჩენა მოისურვოსო. ამან, რა თქმა უნდა, ანრის მსურველი „რეალი“ ერთობ გაახარა. მადრიდელები „ჰაიბერის“ შესანიშნავი ფრანგის ხელში ჩასაგდებად ფულს არ დაიშურებენ.

ანრის შეძენა „რეალის“ უწინდელი პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის ოცნება იყო და ამაში მადრიდული გრანდის დირექტორატიც მხარს უჭერდა. თუმცა, ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე საქმე არ დაიძვრება. 17 მაისს „ბარსასთან“ ჯახში ტიერი ანრი სატრანსფერო ხლართებზე კი არა, მხოლოდ „არსენალის“ გამარჯვებაზე იფიქრებს.

მადრიდში სჯერათ, რომ თუ ფრანგი „არსენალის“ მიტოვებას გადაწყვეტს, მისი მომავალი სწორედ „რეალს“ დაუკავშირდება.

ანრი „ბერნაბეუზე“ სეზონში 9 მილიონს მიიღებს, ხოლო ლონდონელ „მეთოფეებს“ ესპანელები 35 მილიონ ევროს გადაუხდიან.

„რეალი“ იმ სატრანსფერო ოპერაციის წარმატებით დასრულებას ელის, რომელზეც თვეების განმავლობაში მადრიდელთა აგენტები დაულალავად მუშაობდნენ. მოლაპარაკება ესპანელებსა და ფრანგი ფეხბურთელის წარმომადგენლებს შორის იანვარში განახლდა და „სამეფო გუნდმაც“ ჩათვალა, რომ ანრის და „ბარსელონას“ შორის წინასწარი ხელშეკრულება არც ისე მყარია.

კატალონიელებს მადრიდელები ამ ხელშეკრულების დარღვევისთვის ჯარიმას გადაუხდიან, „არსენალს“ კი 35 მილიონს და ტიერი ანრიც რეალელი გახდება. ყოველ შემთხვევაში, „ბერნაბეუზე“ ასე სჯერათ...

ამასობაში „რეალის“ საპატიო პრეზიდენტი და წარსულში ლეგენდარული ფორვარდი ალფრედო დი სტეფანო დაეჭვდა, რაღაც არ მგონია, კლუბი ანრის შეძენას სერიოზულად გეგმავდესო. „ჩვენ ანრის შეძენა ჯერ კიდევ 8 წლის წინ შეგვეძლო, თუმცა მაშინ „რეალის“ უფროსობამ ფრანგზე უარი განაცხადა. ახლა იგი 8 წლით დაბერდა და უეცრად „რეალისთვის“ საჭირო გახდა. ზინედინ ზიდანს კი კლუბიდან უშვებენ. ვერაფერი გავიგე“ — თქვა მხცოვანმა ლეგენდამ „ასთან“ ინტერვიუში.

**ლადო ხომერიძე**

**ფეხბურთის რუკასთან**

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ კაპიტანმა ლედლი კინგმა კლუბთან კონტრაქტი 4 წლით გაახანგრძლივა და „უაით ჰართ ლეინზე“ 2010 წლამდე დარჩება. „უბრალოდ, კონტრაქტი განვაახლეთ, თორემ ჩემი წასვლა არც არასდროს განიხილებოდა. „ტოტენჰემში“ დარჩენა და ამ გუნდის კაპიტნობა მინდა. მჯერა, დიდი წარმატებები გველის“ — თქვა 25 წლის მცველმა.

**მექსიკის** ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში 198 ათას ევროს გადაუხდის, ფინალში გასვლის შემთხვევაში კი 158,400 ევროს. თუ მექსიკელებმა ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლიეს, მოთამაშეები მხოლოდ 8,314 ევროს მიიღებენ.

**იტალიური** „კიევოს“ თავდამსხმელი ამაური ეგებ ზაფხულში მოსკოვის „სპარტაკში“ აღმოჩნდეს. 25 წლის ბრაზილიელის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 11 გოლია. მისით, გარდა რუსებისა, ორი იტალიური და ერთი ინგლისური კლუბია დაინტერესებული, თუმც ფინანსურად „სპარტაკის“ წინადადება ყველაზე სარფიანი ყოფილა.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ მცველი სუნ ჟიხაი კლუბთან ორი წლით გააგრძელებს კონტრაქტს. 28 წლის ჩინელი „სიტიში“ 2002 წლიდან თამაშობს. „ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და მალე კონტრაქტს ოფიციალურად გავაფორმებთ. ჟიხაი პროფესიონალია და საჭიროებისას ნახევარდაცვაშიც ჩინებულად თამაშობს“ — თქვა მანჩესტერელთა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა.

**იტალიური** „მილანის“ მცველ იაპ სტამისთვის გასულ უქმეებზე „ლივორნოსთან“ მატჩი „როსონერის“ რიგებში ბოლო გამოდგა. ვეტერანმა ჰოლანდიელმა მყესები დაიზიანა და გუშინ ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს. მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან ორი წლით იგი „აიაქსის“ ფეხბურთელი გახდება.

**პორტუგალიურ** „ბენფიკას“ ფაბრიციო მიკოლის ბოლომდე გამოსყიდვა ან კიდევ ერთი წლით თხოვება უნდა. ლისაბონელებმა უკვე დაიწყეს „იუვენტუსთან“ მოლაპარაკება და, ალბათ, მიაღწევენ შეთანხმებას. „არწივებში“ დარჩენა თავად თავდამსხმელსაც სურს.

**რუსული** „ზენიტის“ მწვრთნელი ვლასტიმილ პეტრჟელა მოხსნეს. ჩეხის ნაცვლად, გუნდს დროებით, ვლადიმირ ბოროვიჩკა ჩაიბარებს. პეტრჟელა გუშინ ცსკასთან მარცხს გადააყოლეს, გარდა ამისა, მანამდე „ზენიტი“ „სევილიამ“ უეფას თასის მეოთხედფინალიდან გამოაგდო.

# ბერბატოვი და ბერლინელი ბატებები



რამელოს გოლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 31 | 21 | 7 | 3 | 60:27 | 70 |
| ჰამბურგი | 32 | 21 | 5 | 6 | 50:24 | 68 |
| ვერდერი | 31 | 18 | 7 | 6 | 66:33 | 61 |
| შალკე | 31 | 14 | 13 | 4 | 41:27 | 55 |
| ლევერკუზენი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:45 | 50 |
| ჰერტა | 32 | 11 | 12 | 9 | 47:44 | 45 |
| დორტმუნდი | 32 | 11 | 11 | 10 | 41:38 | 44 |
| შტუტგარტი | 31 | 8 | 16 | 7 | 32:32 | 40 |
| ნიურნბერგი | 32 | 11 | 7 | 14 | 45:48 | 40 |
| გლადბახი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:48 | 38 |
| არმინია | 31 | 10 | 7 | 14 | 29:38 | 37 |
| ჰანოვერი | 32 | 7 | 15 | 10 | 39:43 | 36 |
| აინტრახტი | 31 | 9 | 7 | 15 | 39:46 | 34 |
| ვოლფსბურგი | 31 | 7 | 12 | 12 | 30:48 | 33 |
| მაინცი | 31 | 7 | 10 | 14 | 42:47 | 31 |
| ლაუტერნი | 31 | 8 | 6 | 17 | 42:66 | 30 |
| კიოლნი | 32 | 6 | 9 | 17 | 45:63 | 27 |
| დუისბურგი | 31 | 4 | 11 | 16 | 29:58 | 23 |

## გერმანია

**ბუნდესლიგა. XXXII ტური**

**კიოლნი 0:1 ჰამბურგი**

0:1 სინკევიჩი (3ს.კ.)
**კიოლნი:** ბადე, ლელი, სინკევიჩი, კულმანი (საბიჩი 87), მატიპი (შპრინგერი 77), ფიულნერი, კაბანასი, ჰელმესი, ეპშტეინი, შტრელერი, პოდოლსკი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
**ჰამბურგი:** კირშტაინი, კლინგბილი, ბულარუზი, ბ. რაინჰარდტი, ატუბა, დემელი, მაჰდავიკია, ტროხოვსკი (კარლი 84), ბარბარესი, აილტონი (ლაასი 77), ლაუტი (ტაკაჰარა 60)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ფიულნერი, კირშტაინი, ბულარუზი
მსაჯი: კირხერი
50 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:2 დორტმუნდი**

1:0 მერტესაკერი (44), 1:1 როსიცკი (59), 1:2 ვიორნსი (81)
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ვინისიუსი (დელურა 65), ტარნატი, ლალა, შრიოტერი (ზურავი 20), ბალიტჩი, იანკოვი, შტაინერი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
**დორტმუნდი:** გენტენაარი, პ. დეგენი, ვიორნსი, კ. მეცელდერი, დედე, ნ. საჰინი (როსიცკი 56), კელი, კრინგე, ოდონკორი (კოლერი 72), შმოლარეკი, ბაკლი (ამოა 46)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, კრინგე, მეცელდერი, ოდონკორი, როსიცკი
მსაჯი: ფლაიშერი
41 387 მაყურებელი

**ჰერტა 1:5 ლევერკუზენი**

0:1 ჟუანი (5), 0:2, 0:3 ბერბატოვი (27, 28), 1:3 მარსელინიო (41), 1:4 რამელო (63), 1:5 შნაიდერი (76)
**ჰერტა:** ფიდლერი, ჩაჰედი (მადლუნგი 70), ა. ფრიდრიხი, ფატი, ჟილბერტო, ნ. კოვაჩი, კ. ბოატენგი (ოკორონკვო 82), მარსელინიო, კაირო (დარდაი 82), ნოინდორფი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**ლევერკუზენი:** ბუტი, კ. ფრიცი, ჟუანი (როკე ჟუნიორი 79), ნოვოტნი, შტენმანი, რამელო, როლფსი, ბ. შნაიდერი, ფრაიერი (ბაბიჩი 62), ბარნეტა (კასტრო 68), ბერბატოვი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბოატენგი, ნოინდორფი, ფრაიერი
მსაჯი: მერკი
51 324 მაყურებელი

**ნიურნბერგი 5:2 მიონხენგლადბახი**

1:0 ვიტეკი (14), 1:1 ზე ანტონიო (34), 1:2 სონკი (37), 2:2 პოლაკი (59), 3:2 ვიტეკი (65), 4:2 საენკო (86), 5:2 კესლინგი (88)



ბერბატოვი გაძვირდა

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი, მნარი (ა. ვოლფი 46), კანტალუპი, გლაუბერი (ნიკლი 87), პინოლა, დ. რაინჰარდტი, პოლაკი, კრისტიანსენი (ბანოვიჩი 76), ვიტეკი, კესლინგი, საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
**მიონხენგლადბახი:** კ. კელერი, ფუკალი (კაე 76), ზე ანტონიო, ბ. სვენსონი, დაემსი, პოლანსკი, კლუგე (ბროიხი 76), იანსენი, რაფაელი (ელ ფაკირი 46), ნოივილი, სონკი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
გაფრთხილება: გლაუბერი, პინოლა, პოლანსკი, რაფაელი, ზე ანტონიო
მსაჯი: ვაინერი
42 391 მაყურებელი

**ლევერკუზენის** „ბაიერმა" მიჯრით მეექვსე მატჩი მოიგო, დიმიტარ ბერბატოვმა კი ორ წუთში ორი გოლი გაუტანა „ჰერტას" და ბულგარელი ფორვარდის ფასმაც უფრო აიწია. ბერბატოვი ბევრ ბობოლა კლუბს უნდა, მაგრამ მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ განაცხადა: „ჩვენ ვცდილობთ მის შენარჩუნებას, რადგან მომავალ სეზონში ევროთასზე უნდა ვითამაშოთ. ფორვარდს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდით, თუ მის სანაცვლოდ 16 მილიონ ევროს შემოგვთავაზებენ".

ბერლინურ მატჩში ანგარიში მეხუთე წუთზე ჟუანმა გახსნა, ნახევარი საათის თავზე კი უკვე ყველაფერი გარკვეული იყო. ბერბატოვმა ორ წუთში „დაასამარა" მეტოქე და სხვაობა სამამდე გაზარდა. მარსელინიომ ტაიმის ბოლოს შეძლო ერთის გაქვითვა, მაგრამ შესვენების შემდეგ რამელომ და შნაიდერმა თითო-თითო კიდევ გაუტანეს „ჰერტას".

„ეს წარმოუდგენელია! — გაოგნებული იყო ნამარცხევს მასპინძელთა მწვრთნელი ფალკო გიოტცი — ორი სწრაფი კონტრშეტევა და უკვე 0:3-ს ვაგებდით, თუმც ეს ხომ ფეხბურთია. წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთელებს მაინც ვერ დავძრახავ, მათ თავი არ დაუზოგავთ. ახლა მეექვსე ადგილი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ინტერტოტოს თასზე ვითამაშოთ".

დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰანოვერს" მოუგო და მისდევს „ჰერტას". ბორუსიელებსაც აქვთ ინტერტოტოზე თამაშის შანსი, მთავარი ამბავი კი ჰანოვერულ მატჩში დორტმუნდელებისთვის ის იყო, რომ 71-ე წუთზე მოედანზე იან კოლერი შევიდა, რომელსაც ტრავმის გამო შვიდი თვე გაუცდა. ეს „ბორუსიასთვისაც" კარგია და ჩეხეთის ნაკრებისთვისაც. „ჰანოვერი" პერ მერტესაკერის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმში როსიცკიმ საუცხოო საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, ბოლოს კი კრისტიან ვიორნსმა სტუმართა გამარჯვებისა შეაგდო.

კიოლნში კი მესამე წუთზე დაწინაურდა „ჰამბურგი", როცა მაჰდავიკიას დარტყმული ბურთი სინკევიჩმა საკუთარ კარში ჩაჭრა. ამის მერე სულ „თხები" უტევდნენ და არაერთი საგოლე მომენტი გააფუჭეს. „ძალიან ცუდად ვითამაშეთ და იღბლის წყალობით მოვიგეთ" — თქვა ჰამბურგელთა მწვრთნელმა თომას დოლმა.

**მეორე ბუნდესლიგა**
**XXXII ტური**

**ალემანია 3:0 ზიგენი**
**ბურგჰაუზენი 5:1 პადერბორნი**
**ზაარბრიუკენი 0:4 ოფენბახი**
**უნტერჰახინგი 1:0 მიუნხენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაუნშვაიგი | 31 | 12 | 4 | 15 | 34:39 | 40 |
| ოფენბახი | 32 | 11 | 7 | 14 | 40:52 | 40 |
| მიუნხენი | 32 | 10 | 9 | 13 | 39:41 | 39 |
| ზაარბრიუკენი | 32 | 10 | 5 | 17 | 35:62 | 35 |
| დინამო | 31 | 9 | 7 | 15 | 32:42 | 34 |
| ალენი | 31 | 8 | 8 | 15 | 33:45 | 32 |
| ზიგენი | 32 | 6 | 7 | 19 | 31:53 | 25 |
| ბოხუმი | 32 | 19 | 8 | 5 | 53:23 | 65 |
| ალემანია | 32 | 20 | 4 | 8 | 60:34 | 64 |
| კოტბუსი | 31 | 15 | 9 | 7 | 46:30 | 54 |
| ფიურტი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:40 | 48 |
| ფრაიბურგი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:32 | 47 |
| კარლსრუე | 31 | 13 | 8 | 10 | 42:39 | 47 |
| ბურგჰაუზენი | 32 | 12 | 10 | 10 | 43:46 | 46 |
| აუე | 32 | 12 | 9 | 11 | 36:34 | 45 |
| პადერბორნი | 32 | 12 | 7 | 13 | 43:36 | 43 |
| ჰანზა | 31 | 13 | 4 | 14 | 42:42 | 43 |
| უნტერჰახინგი | 32 | 12 | 5 | 15 | 42:45 | 41 |



# ლაციო ჯანდაბაში

## ხან ჰოს ამბობ და ხან არას...

**„ლაციოს"** ექსცენტრიული ვეტერანი ვარსკვლავი პაოლო დი კანიო კლუბის პრეზიდენტზე, კლაუდიო ლოტიტოზე გაბრაზდა. დი კანიომ რადიოინტერვიუში განაცხადა:

„მორჩა და გათავდა, მეტი აღარ შემიძლია. მინდა, ბოლოს და ბოლოს, ჩემი კონტრაქტის განახლება-არგანახლების შესახებ ყველაფერი მკაფიოდ ვიცოდე. ვიქნები მომავლ სეზონში „ლაციოს" მოთამაშე თუ არა? უახლოეს დღეებში უნდა გავარკვიო ყველაფერი".

დი კანიოს ახლანდელი კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს გადის, მაგრამ ის ქომაგთა ფავორიტია, პრეზიდენტი ლოტიტო კი პასუხს აჭიანურებს.

„ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ ორი თვის წინ შევთანხმდით, 30 აპრილს შევხვდეთო, მაგრამ მოვიდა 30 აპრილი და გაირკვა, რომ ლოტიტოს ჩემთან სალაპარაკოდ 15 წუთიც არ აქვს. კეთილი, ბოლოს და ბოლოს, ამის დაშვებაც შემიძლია, მაგრამ ახლა 15 წამზე მეტი აღარ გვჭირდება. ან ჰო უნდა მითხრას, ან არა.. მეტი სალაპარაკო არაფერი გვაქვს. და კიდევ ერთი, რაც მინდა ყველამ იცოდეს: საქმე „ლაციოს" რომ არ ეხებოდეს, კარგა ხანი გაგზავნილები მეყოლებოდნენ ჯანდაბაში".

შემდეგ დი კანიომ განაცხადა, რომ ბოლო ცნობით, მისი და ლოტიტოს შეხვედრა 15 მაისს შედგება, თუმცა ფეხბურთელს რაიმე სახეიროს იმედი აღარ აქვს.

„ზუსტად ვიცი, რომ 14 მაისს დამირეკავენ, რაღაცას მომიბოდიშებენ და შეხვედრას კიდევ გადადებენ... კიდევ კარგი, ავსტრალიიდან კვლავ მეპატიჟებიან".

მოკლედ, 38 წლის ვეტერანი ბოლო წამამდე იტოვებს „ლაციოში" დარჩენის შანსს, მაგრამ ისიც ჩანს, რომ კლუბი მის გასაშვებად მიზეზის პოვნას ცდილობს, უფრო სწორად, წადიო, პირდაპირ არეუბნებიან, მიხვედრებით კი ცდილობენ, მიახვედრონ.

„მე მინდა კარიერა „ლაციოში" დავამთავრო და ამიტომ აყოვნებს კლუბის ხელმძღვანელობა პასუხს. ეკონომიკურად ნამდვილად არავის დავაწვები, მწვრთნელმა მითხრა, რომ ჩემი გუნდში ყოფნა სურს, ასე რომ, მიზეზი სხვაგან არის. ვაღიარებ, „ლივორნოსთან" შეხვედრის დღეს შემეშალა, მაგრამ სულელი არ ვარ და ისე მოვიქეცი, რომ ამას ცუდი გაგრძელება არ მოჰყოლია..."

რა გააკეთა დი კანიომ „ლივორნოსთან" შეხვედრაში? რომ გამოცვალეს, ქომაგებს ფაშისტური სალამი უძღვნა, ლივორნო კი მემარცხენეთა ქალაქია.

**ბაკურა კედია**

# ჩემი კაბინეტი მოედანზეა



**ამადეო კარბონი,** „ვალენსიას" და ესპანური პრიმერადივიზიონის ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი შეიძლება, მალე „ლამურების" სპორტული დირექტორი გახდეს. გუშინ „მესტალიას" კლუბმა ხავიერ სუბირატსს თანამდებობა დაატოვებინა, ხოლო მის შემცვლელად სწორედ იტალიელი კარბონი შეუგულებიათ. „ჯერჯერობით ფეხბურთელი ვარ და ესპანეთის ჩემპიონატში კიდევ ორი მატჩი უნდა ვითამაშო. „ვალენსიას" სპორტულ დირექტორად ჩემი დანიშვნის შესახებ ახლა ვერაფერს გეტყვით. ისე, მირჩევნია ფეხბურთელის კარიერა გავაგრძელო" — განუცხადა ესპანურ **RADIONON**-ს 41 წლის აპენინელმა ვეტერანმა.

ხავიერ სუბირატსი, გუნდის უკვე ექსდირექტორი, „ვალენსიაში" თავის მოვალეობას გასული წლის მაისიდან ასრულებდა. გარდა ამადეო კარბონისა, სუბირატსის შემცვლელად „სევილიას" ამჟამინდელ სპორტულ დირექტორ რამონ როდრიგესსაც მოიაზრებენ.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

G ჯგუფი

საფრანგეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა, ტოგო

# კორეა გერმანიაში ოთხმილიონიანი პარკით მიდის



დიკ ადვოკაატი

**მსოფლიოს** წინა ჩემპიონატის მასპინძელთაგანი და მეოთხეადგილოსანი ანგარიშგასაწევ გუნდად გუს ჰიდინკმა აქცია. გახსოვთ, ალბათ, რომ 2002-ში კორეელებმა მერვედფინალში იტალია, მეოთხედფინალში ესპანელები დაამარცხეს, თუმც ამ საქმეში მსაჯებიც დაეხმარნენ, ხოლო ნახევარფინალში კი თურქებთან წააგეს. ჰიდინკმა შექმნა ბრძოლისუნარიანი და ტაქტიკურად განსწავლული ნაკრები.

გერმანია 2006-ის შესარჩევ ციკლში გუნდს ჰოლანდიელი ჯო ბონფრერე თავკაცობდა. პირველი საკვალიფიკაციო წრე კორეელებმა წაუგებლად ჩაამთავრეს, ოღონდ უცნაური იყო, რომ ჯგუფში უსუსტეს მალდივის კუნძულების ნაკრებთან სტუმრად უგოლო ფრე ითამაშეს.

მომდევნო საკვალიფიკაციო წრეში ცოტა გაუჭირდათ. ექვსიდან მხოლოდ სამი მატჩი მოიგეს და მათ შორის ორი აუტსაიდერ ქუვეითთან. ბოლო ტურში შინ საუდეთთან მარცხის მიუხედავად, გერმანიის საგზური გაინაღდეს, მაგრამ ბონფრერე მოხსნეს, რომელიც დიკ ადვოკაატმა შეცვალა.

*საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* დონ-გოოკ ლი ყველაზე გამორჩეული იყო და რამდენიმე მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, თუმც ამჟამად ტრავმირებულია.

* * *

*მწვრთნელი:* დიკ ადვოკაატი 1947 წელს დაიბადა დენ ჰააგში და კარიერაც ამავე ქალაქის კლუბში დაიწყო. შემდეგ იყო „ვენლო", როტერდამის „სპარტა" და „უტრეხტი". მერე ბელგიურ კლუბებშიც გააგორა ბურთი და ბოლოს ამერიკაშიც კი თამაშობდა.

1984 წელს რინუს მიხელსმა ჰოლანდიის ნაკრებში თანაშემწედ აიყვანა და სამი წელი მუშაობდა „ნარინჯისფრებში". 1987-ში საკლუბო საქმიანობას დაუბრუნდა და „ჰაარლემში" მწვრთნელობდა 1991 წლამდე. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ლეო ბეენჰაკერმა ჰოლანდია ჯგუფიდან ვერ გაიყვანა და ნაკრებში ისევ რინუს მიხელსს უხმეს, რომელმაც კვლავ მიიყვანა თანაშემწედ დიკ ადვოკაატი. ევრო-92-ზე „ნარინჯისფრები" ნახევარფინალში დანიასთან დამარცხდნენ და მიხელსმა ადგილი ადვოკაატს დაუთმო. რაკი რინუს მიხელსს „გენერალს" ეძახდნენ, ადვოკაატი „პატარა გენერლად" მონათლეს. 1994-ის მუნდიალზე ჰოლანდიამ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ ბრაზილიასთან 2:3 წააგო და ჩემპიონატის შემდეგ დიკ ადვოკაატმა პსვ ჩაიბარა. ეინდჰოვენელებს 1996-ში ჰოლანდიის თასი, მომდევნო წელს კი ჩემპიონობა მოაგებინა. 1998-ში გლაზგოს „რეინჯერსში" გადავიდა და ოთხი „ბარაქიანი" სეზონი გაატარა. „ჩაფრებმა" ორჯერ მოიგეს ჩემპიონობა და ასოციაციის თასი, ერთხელ კი ლიგის თასი. 2001-ში „რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვერ გავიდა და ადვოკაატმა მწვრთნელობას კლუბის ტექნიკური დირექტორობა ამჯობინა.

მას შემდეგ, რაც ლუის ვან გაალის ხელში ჰოლანდია 2002 წლის მუნდიალზე ვერ გავიდა, ნაკრები ისევ დიკ ადვოკაატს ჩააბარეს. ევრო 2004-ზე „ნარინჯისფრები" ნახევარფინალში მასპინძელ პორტუგალიასთან დამარცხდნენ, ხოლო ადვოკაატი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" თავკაცი გახდა. იქ საქმე ვერააწყო და შარშან აპრილში დაითხოვეს. ცოტა ხნით საუდეთის ნაკრებში იმუშავა და გასული წლის 23 აგვისტოს, როცა სამხრეთ კორეას გერმანიის საგზური განაღდებული ჰქონდა, ადვოკაატმა ბონფრერე შეცვალა.

* * *

*კაპიტანი:* მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ მოირგებს კაპიტნის სამკლავურს, მაგრამ მთავარი კანდიდატი ჟინ-ჩეულ ჩოია.

* * *

*ლეგენდა:* მიუნ-ბო ჰონი 1969 წლის 12 თებერვალს სეულში დაიბადა. ჰონს მსოფლიოს ოთხ (1990, 1994, 1998, 2002) ჩემპიონატზე უთამაშია. ოთხი წლის წინ იგი კაპიტნობდა ნაკრებს, რომელმაც მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა და კაპიტანს „ბრინჯაოს ბურთი" გადასცეს, რადგან ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში მესამე კაცად დაასახელეს, ახლა კი ადვოკაატის თანაშემწეა. სანაკრებო კარიერა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა. ბოლოს „ლოს ანჯელეს გალაქსიში" თამაშობდა და ფეხბურთსაც იქ დაანება თავი 2004-ში.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* ჟი-სუნ პარკი, „მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის ნახევარმცველი. სახელი იმ გოლით გაითქვა, რომელიც 2002-ის მუნდიალზე, ჯგუფურ ეტაპზე პორტუგალიას გაუტანა და კორეას მოაგებინა. ნაკრებში 18 წლისა მიიწვიეს და თავიდან საყრდენ ნახევარმცველად თამაშობდა. როცა გუნდი გუს ჰიდინკმა ჩაიბარა, პარკი ფლანგზე გაამწესა და შემტევ ნახევარმცველად აქცია. ეს პოზიცია ზედგამოჭრილი გამოდგა ფეხბურთელისთვის. შეუძლია ფლანგების შეცვლაც და ცენტრალურ ნახევარმცველად თამაშიც. 2003 წელს ჰიდინკი პსვ-ს მწვრთნელი გახდა, პარკი წაიყვანა და კორეელი გუნდის ლიდერად იქცა. 2005-ის 22 ივნისს იგი „მანჩესტერ იუნაიტედმა" 4 მილიონ გირვანქად შეიძინა. საინტერესოა, რომ პარკის სახელი ჰქვია ერთ-ერთ გზას მის მშობლიურ ქალაქ სუვონში.



ჟი-სუნ პარკი



დონ-გოოკ ლი

* * *

\+ სწრაფი შემტევი ნახევარმცველები.

* * *

– გამოცდილი მცველების ნაკლებობა.

* * *

*აზრი:* „ჩვენი ნაკრებისთვის პიკი იყო მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მოპოვებული მეოთხე ადგილი, მას შემდეგ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და ხელახლა „აშენება" სჭირდება, რასაც, ალბათ, მოახერხებს დიკ ადვოკაატი". ჰიუნ-ჩეოლ კიმი, „კორეა თაიმზი".

## სამხრეთ კორეის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 13 ივნისი | სამხრეთ კორეა — ტოგო | ფრანკფურტი |
| 18 ივნისი | საფრანგეთი — სამხრეთ კორეა | ლაიპციგი |
| 23 ივნისი | შვეიცარია — სამხრეთ კორეა | ჰანოვერი |

## სამხრეთ კორეის გზა ფინალური ეტაპისკენ

I საკვალიფიკაციო წრე. VII ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 18.02.2004 | სამხრეთ კორეა — ლიბანი | 2:0 |
| 31.03.2004 | მალდივი — სამხრეთ კორეა | 0:0 |
| 09.06.2004 | სამხრეთ კორეა — ვიეტნამი | 2:0 |
| 08.09.2004 | ვიეტნამი — სამხრეთ კორეა | 1:2 |
| 13.10.2004 | ლიბანი — სამხრეთ კორეა | 1:1 |
| 17.11.2004 | სამხრეთ კოერა — მალდივი | 2:0 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კორეა | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ლიბანი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| ვიეტნამი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |
| მალდივი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |

II საკვალიფიკაციო წრე. A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 09.02.2005 | სამხრეთ კორეა — ქუვეითი | 2:0 |
| 25.03.2005 | საუდის არაბეთი — სამხრეთ კორეა | 2:0 |
| 30.03.2005 | სამხრეთ კორეა — უზბეკეთი | 2:1 |
| 03.06.2005 | უზბეკეთი — სამხრეთ კორეა | 1:1 |
| 08.06.2005 | ქუვეითი — სამხრეთ კორეა | 0:4 |
| 17.08.2005 | სამხრეთ კორეა — საუდის არაბეთი | 0:1 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | 14 |
| სამხრეთ კორეა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| უზბეკეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| ქუვეითი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს მაკლარენი დაიქოქება

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია მთელი კვირის განმავლობაში მოუქნელი და დაბნეული ადამიანების კრებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევე, როგორც ყველაფერს, ამ დაბნეულობასაც აქვს დასასრული — როგორც ამბობენ, დღეს ინგლისის ნაკრების მომავალი მწვრთნელი სტივ მაკლარენი გახდება. მოგეხსენებათ, ასოციაციის შეფებს ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარის დანიშვნა უნდოდათ, მაგრამ სკოლარიმ პორტუგალიის ნაკრებთან გააგრძელა კონტრაქტი.

სკოლარის კანდიდატურა რომ გამოირიცხა, ინგლისელების მიერ იმთავითვე შეგულებული მწვრთნელების სიაში დარჩა ოთხი: სამი ინგლისელი — მაკლარენი, სემ ალარდაისი და ალან კერბიშლი და ერთიც ირლანდიელი მარტინ ონილი.



მაკლარენმა ერიკსონი უნდა შეცვალოს

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ფეხბურთის ასოციაციის საბჭომ კონსულტაციებისა და შეთანხმებების შემდეგ არჩევანი მაკლარენზე შეაჩერა, რომელიც დღეს სვენ გორან ერიკსონის ასისტენტი გახლავთ.

მაკლარენი ზემოთ ჩამოთვლილი სამი ინგლისელი კანდიდატიდან ერთადერთია, რომლის გუნდსაც ოდესმე რაიმე ჯილდო მოუგია. ეს 2004 წელს მოხდა, როდესაც „ბორომ" ალარდაისის „ბოლტონ უონდერერსი" დაამარცხა ინგლისის ლიგის თასის ფინალში. გარდა ამისა, მაკლარენის გუნდი უეფას თასის ფინალშია და „სევილიას" უნდა შეხვდეს. რაც შეეხება სემ ალარდაისს, მან ერთი კვირის წინ ჟურნალისტებს ასე განუცხადა:

„მე ნაკრების მწვრთნელობა მინდა კი არა, ეს ჩემი საოცნებო სამსახურია. მოლოდინისგან ლამისაა, ვიყვირო".

„ინგლისელი გახლავართ და ჩემი ქვეყნის ნაკრების სათავეში დგომა, რა თქმა უნდა, მინდა, მითუფრო, ჩემს ასაკში. ვფიქრობ, საქმეში კარგად ვერკვევი" — ეს სიტყვები კი „ჩარლტონ ატლეტიკიდან" წასულ ალან კერბიშლის ეკუთვნის.

ბოლოს ონილზე, რომელიც ფეხბურთელობის დროს „ნოტინგემ ფორესტის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასს ფლობდა, როგორც მწვრთნელს კი „ლესტერ სიტისთან" ერთად მოუგია ინგლისის ლიგის თასი. ონილი შარშან ფეხბურთის ჩამოცილებული გახლდათ, რადგან ავადმყოფ მეუღლეს უვლიდა.

**ბაჩუნა ძიდია**

# ვიწრო სცენა დინიოსთვის



**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ უყოყმანოდ დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 13 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხორვატიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს. მოგეხსენებათ, ხორვატთა გარდა ბრაზილიელებს ჯგუფში იაპონია და ავსტრალიაც ჰყავთ.

პარეირას დასახელებულ თერთმეტეულში ეგრეთ წოდებული ჯადოსნური კვარტეტი სრული შემადგენლობითაა წარმოდგენილი. ეს კვარტეტი გახლავთ: რონალდო, რონალდინიო, ადრიანო და კაკა. მოკლედ, ტრავმებმა გეგმა თუ არ არია, ბრაზილია მსოფლიოს პირველობაზე იმავე შემადგენლობით წარდგება ჩვენ წინაშე, რომლითაც ოქტომბერში, ბოლო შესარჩევ მატჩში ვენესუელას დაუპირისპირდა.

„შემადგენლობა, რომელიც მუნდიალს დაიწყებს, იგივე უნდა იყოს, რომელმაც შესარჩევი ციკლი დაასრულა — უთხრა პარეირამ ჟურნალისტებს — შემდეგ, შეჯიბრების მსვლელობის მიხედვით შემადგენლობაც აუცილებლობიდან გამომდინარე შეიცვლება".

ასე და ამგვარად, ლაპარაკია ასეთ შემადგენლობაზე: დიდა, კაფუ, ჟუანი, ლუსიო, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, კაკა, რონალდო, ადრიანო.

პარეირამ ისიც დასძინა, რომ რონალდინიო ნაკრებშიც ისევე თავისუფალი იქნება, „ბარსელონაში" რომ არის.

„ვერავინ იტყვის, რომ რონალდინიო ნაკრებში სხვანაირად თამაშობს, კლუბში კი სხვანაირად. ბრაზილიის გუნდში ის სრულიად თავისუფალია. განსხვავება ის არის, რომ „ბარსელონაში" სცენაზე მარტოა, ნაკრებში კი თანაგუნდელების სასარგებლოდ შევიწროება უწევს".

**ბაჩუნა ძიდია**

# ადუ თვალში ეპატრავათ



**ამერიკის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბრიუს არენამ უკვე დაასახელა 23 კაცი, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. ბევრისთვის გულდასაწყვეტად, მასში არ არის 16 წლის ვუნდერკინდი ფრედი ადუ. განაში დაბადებული ვარსკვლავი მუნდიალისთვის გამოუცდელად მიიჩნიეს. განაცხადში ვერ მოხვდა „ნიუ ინგლენდის" ლიდერი ტეილორ ტველმენიც, რომელიც გასულ სეზონში „მეიჯორლიგის" ბომბარდირი გახდა. იგი 13-კაციან სარეზერვო სიაშია, რომლებიც არენამ იმისთვის შეარჩია, რომ თუ ძირითადი ფეხბურთელებიდან ვინმე დაშავდა, მათგან ერთ-ერთით შეცვალოს.

ბუნებრივია, განაცხადში მოხვდა აშშ-ს ორი ლიდერი — „ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველი ლანდონ დონოვანი და ინგლისური „ფულემის" ფორვარდი ბრაიან მაკბრაიდი. შეტევაში ამერიკელთა თამაში ამ ორ ფეხბურთელზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული.

„ლანდონი გამოცდილი ფეხბურთელია, გოლებიც ხშირად გააქვს და შეტევაში ძალიან გვეხმარება" — თქვა არენამ.

ამერიკელთა ძირითადი მეკარე კეისი კელერი იქნება. „გლადბახის" 36 წლის მეკარისთვის ეს მეოთხე მუნდიალია, მაგრამ პირველი გოლკიპერის რანგში პირველად ითამაშებს.

ნაკრების კაპიტანი „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი კლაუდიო რეინაა. მას აშშ-ს მაისურა 106-ჯერ მოურგია.

ყველაზე ახალგაზრდა „კანზას სიტის" 22 წლის ფორვარდი ედი ჯონსონია, რომლისთვისაც ეს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.

აშშ-ს ნაკრები 10 მაისს მზადებას კაროლინაში დაიწყებს და მუნდიალამდე სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს, ხოლო 1 ივნისს უკვე ჰამბურგში დაბინავდება.

„როგორც ყოველთვის, ჩემპიონატის წინ არაფრის მომცემ და მყვირალა განცხადებებს არ გავაკეთებთ. უბრალოდ, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ნაკრებით, რომელიც 12 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას ჩეხეთთან მატჩით დაიწყებს, თითოეული ამერიკელი იამაყებს" — დასძინა არენამ.

**გიორგი ძაძაგაძე**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| კეისი კელერი | მიონხენგლადბახი, გერმანია |
| ტიმ ჰოვარდი | მანჩესტერი, ინგლისი |
| მარკუს ჰანემანი | რედინგი, ინგლისი |
| **მცველები** | |
| სტივ ჩერუნდოლო | ჰანოვერი, გერმანია |
| ედი ლუისი | ლიდსი, ინგლისი |
| ედი პოუპი | რეალ სოლტ ლეიკი |
| ოგუჩი ონიევუ | სტანდარდი, ბელგია |
| კორი გიბსი | დენ ჰააგი, ჰოლანდია |
| კარლოს ბოკანეგრა | ფულემი, ინგლისი |
| ფრენკი ჰეიდუკი | კოლუმბუს ქრიუ |
| ჯიმი კონრადი | კანზას სიტი ვიზარდსი |
| **ნახევარმცველები** | |
| ლანდონ დონოვანი | ლოს ანჯელეს გალაქსი |
| დამარკუს ბისლი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| კლინტ დემპსი | ნიუ ინგლენდ რევოლუშენი |
| პაბლო მასტროენი | კოლორადო რაპიდსი |
| კლაუდია რეინა | მანჩესტერ სიტი, ინგლისი |
| ბობი კონვი | რედინგი, ინგლისი |
| ჯონ ობრაიენი | ჩივასი |
| ბენ ოლსენი | ვაშინგტონი |
| **თავდამსხმელები** | |
| ბრაიან მაკბრაიდი | ფულემი, ინგლისი |
| ჯოშ ვოლფი | კანზას სიტი ვიზარდსი |
| ედი ჯონსონი | კანზას სიტი ვიზარდსი |
| ბრაიან ჩინგი | ჰიუსტონ დინამოსი |

# პეკერმანის მადრიდული ვენტური



პეკერმანი და რიკელმე

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი სამშაბათს მადრიდში ჩავიდა ევროპულ ლიგებში მოთამაშე შეგირდებთან შესახვედრად. „მარკას“ ცნობით, იგი და მისი თანაშემწე უგო ტოკალი ფეხბურთელებს მომავალი კვირის დამდეგს მადრიდის მახლობლად გაესაუბრებიან.

ეროვნული გუნდის პრესმდივანმა ანდრეს ვენტურამ განაცხადა, რომ პეკერმანი ფეხბურთელებს მადრიდიდან 30 კილომეტრით დაშორებულ სასტუმროში შეხვდება. სამუნდიალოდ გამზადებულთა სია კი ჯერ მთლად გარკვეული არ არის. ზოგიერთ ფეხბურთელს, რომლებსაც სულ რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის რეალურ მონაწილეებად მიიჩნევდნენ, პრობლემები შეექმნა. მათ შორის მილანის „ინტერისა“ და ნაკრების ძირითადი მოთამაშეები, ნახევარმცველი ხავიერ ძანეტი და მცველი ვალტერ სამუელი არიან. არგენტინულ პრესაში დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სამუელს ნაკრებში „რომას“ უკანაზაზელი ლეანდრო კუფრე ჩაენაცვლება. „ინტერის“ სხვა ორი არგენტინელი, ნიკოლა ბურდისო და ესტებან კამბიასო პეკერმანს მადრიდში ვერ ეახლებიან. მათ 11 მაისს „რომასთან“ იტალიის თასის ფინალის საპასუხო შეხვედრა ელით.

მადრიდში ვერც ხავიერ სავიოლა ჩავა. „ბაჭიას“ 10 მაისს „მიდლსბროსთან“ უეფას თასის ფინალი უწევს. თავდამსხმელებიდან ნაკრებში ადგილი მარტო „კორინთაიანსის“ კარლოს ტევესს და „ბარსელონას“ ლეო მესის აქვთ გარანტირებული. არგენტინაში კი ფიქრობენ, რომ პეკერმანი „ალბისელესტეს“ მოიერიშეებად ადგილობრივი გუნდების მოთამაშეებს მიიწვევს, მაგალითად, „ინდეპენდიენტეს“ სერხიო აგეროს (მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოში“ გადადის) და „ბოკა ხუნიორსის“ როდრიგო პალასიოს.



კარლოს ტევესი

სავიოლას და ერნან კრესპოს მუნდიალზე გამგზავრებასაც საეჭვოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ გერმანიაში მოხვედრის შანსები უფრო „ინტერის“ ხულიო კრუზს აქვს. ასევე ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ნაკრებს „ატლეტიკოს“ მეკარე ლეო ფრანკო ჩამოსცილდება და მის ადგილს „რივერ პლეიტის“ გოლკიპერი ხერმან ლუქსი დაიკავებს. არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ შეხვედრას 10 ივნისს კოტ დივუართან ჩაატარებს. პატაგონიელთა ჯგუფში აფრიკელთა გარდა სერბეთი და ჰოლანდიაა.

**ლადო ხომერიკი**



# ნუ ელით მეგობრის დამტვრევას

**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს 22-26 მაისს ფრიად საინტერესო შეკრება აქვს ჩაფიქრებული. ის საფრანგეთის ალპებში მდებარე ტიგნეს საწვრთნელ ცენტრში მხოლოდ 23 ფეხბურთელს წაიყვანს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა ფეხბურთელთა 23-კაციანი განაცხადები ფიფაში უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 15 მაისისა, ასე რომ 22 მაისისთვის დომენეკს საბოლოო ოცდასამეული უკვე გარკვეული ექნება.

„დიდხანს ვიფიქრე და დავასკვენი, რომ ჯობს შეკრებაზე მხოლოდ ის მოთამაშეები წავიყვანო, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამოვიდნენ. დანარჩენებს, კერძოდ, ისეთებს, რომლებიც თავიანთი შანსისთვის ამ ოცდასამიდან რომელიმეს ტრავმას უნდა დაელოდონ, სარგებელი არ მოაქვთ“ — თქვა დომენეკმა.

ფრანგთა მწვრთნელმა გაიხსენა 1998 წლის ამბავი, როდესაც ნაკრებს ხუთი კაცი უშუალოდ მუნდიალზე წასვლის წინ მოაკლეს.

გარდა ამისა, დომენეკმა თქვა, რომ მეკარის ამბავს ივნისის პირველ დღეებში გაარკვევს. მოგეხსენებათ, „ლურჯების“ კარს ერთმანეთს ფაბიენ ბარტეზი და გრეგორი კუპე ეცილებიან.

რაც შეეხებათ მარსელელ ფრანკ რიბერისა და არსენალელ რობერ პირესს, მათ შესახებ ლაპარაკს მწვრთნელმა თავი აარიდა.

**პაპუნა ძედია**

# ვინ გიფასებს?

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა გუშინ „შტუტგარტთან“ მატჩის წინ გულისნადები გაამხილა — საზღვარგარეთ მუშაობა მინდა, გერმანიაში მომწყინდაო.

52 წლის მაგათს ერთი ნაბიჯიღა უკლია ზედიზედ მეორე ჩემპიონობამდე და სურს, რომ „ბაიერნთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ, 2007-ში, ევროპის სხვა ლიგაშიც მოსინჯოს ძალა.

„გერმანიაში მთავარი პრობლემა ისაა, რომ დიდი შრომისა და წარმატებების მიუხედავად, გარჯას სათანადოდ არავინ გიფასებს და, უმეტეს შემთხვევაში,მაინც წუწუნებენ. მაგალითად, ამ სეზონში გუნდმა, ჩემი აზრით, ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ დამნახავი არავინაა. გულახდილად გეტყვით, საზღვარგარეთ მუშაობა მინდა. ფეხბურთელობისას უცხოურ კლუბებში არ მითამაშია და ეგებ მწვრთნელობისას მაინც მოვახერხო აქედან წასვლა“ — განაცხადა „ბაიერნის“ თავკაცმა.

ფელიქს მაგათმა ფეხბურთელობისას ათი წელი „ჰამბურგში“ გაატარა, სამჯერ ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა, ერთხელ კი ჩემპიონთა თასი მოიგო.

მწვრთნელობისას „საარბრიუკენში“, „ვერდერში“, „აინტრახტსა“ და „შტუტგარტში“ უმუშავია. მიუნხენის „ბაიერნი“ 2004-ის ივნისში ჩაიბარა და პირველივე სეზონში დუბლი გაახერხა — ჩემპიონატიც მოიგო და გერმანიის თასიც.



## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

**ბლექბერნი 1:0 ჩელსი**

1:0 რიდი (43)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილი, ხიზანიშვილი, მ. გრეი, ბენტლი, თუგაი (პეტერი 85), ს. რიდი (მოკოენა 72), სევიჯი, მ. პედერსენი, ბელამი, სინამა-პონიოლი (კუქი 85)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**ჩელსი:** კუდიჩინი, ლ. დიარა, რ. კარვალიუ, გალასი, დელ ორნო (დაფი 46), ჯერემი (კ. კოული 77), ლამპარდი, მანიშე, შ. რაიტ-ფილიპსი (ჯ. კოული 64), კრესპო, გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ჯერემი, სევიჯი, დაფი, გრეი

მსაჯი: ბენეტი

20 243 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 37 | 29 | 4 | 4 | 72:22 | 91 |
| მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 68:34 | 80 |
| ლივერპული | 37 | 24 | 7 | 6 | 54:24 | 79 |
| ტოტენჰემი | 37 | 18 | 11 | 8 | 52:36 | 65 |
| არსენალი | 36 | 18 | 7 | 11 | 61:28 | 61 |
| ბლექბერნი | 37 | 18 | 6 | 13 | 49:42 | 60 |
| ნიუკასლი | 37 | 16 | 7 | 14 | 46:42 | 55 |
| ბოლტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 47:40 | 52 |
| ვესტ ჰემი | 37 | 15 | 7 | 15 | 51:54 | 52 |
| უიგანი | 37 | 15 | 6 | 16 | 43:48 | 51 |
| ევერტონი | 37 | 14 | 7 | 16 | 32:47 | 49 |
| ჩარლტონი | 37 | 13 | 8 | 16 | 41:51 | 47 |
| ფულემი | 36 | 13 | 6 | 17 | 46:56 | 45 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 8 | 16 | 47:56 | 44 |
| სიტი | 36 | 13 | 4 | 19 | 42:43 | 43 |
| ასტონ ვილა | 37 | 9 | 12 | 16 | 40:54 | 39 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 8 | 19 | 36:59 | 38 |
| ბირმინგემი | 37 | 8 | 10 | 19 | 28:49 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 7 | 8 | 22 | 29:56 | 29 |
| სანდერლენდი | 36 | 2 | 6 | 28 | 23:66 | 12 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა
XXXVII ტური

**ჰიბერნიანი 1:2 რეინჯერსი**

0:1 კ. ბოიდი (36), 1:1 ჰემდანი (72ს.კ.), 1:2 კ. ბოიდი (74)

**დანდი იუნ. 0:1 დანფერმლაინი**

0:1 დაქვინი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 27 | 6 | 3 | 89:35 | 87 |
| ჰართსი | 36 | 21 | 8 | 7 | 70:29 | 71 |
| რეინჯერსი | 37 | 20 | 10 | 7 | 65:37 | 70 |
| ჰიბერნიანი | 37 | 17 | 5 | 15 | 60:53 | 56 |
| აბერდინი | 36 | 13 | 14 | 9 | 44:37 | 53 |
| ინვერნესი | 36 | 13 | 13 | 10 | 48:38 | 52 |
| კილმარნოკი | 36 | 14 | 10 | 12 | 60:61 | 52 |
| მოზერუელი | 36 | 12 | 9 | 15 | 53:60 | 45 |
| დანფერმლაინი | 37 | 8 | 9 | 20 | 33:67 | 33 |
| დანდი იუნ. | 37 | 7 | 11 | 19 | 40:65 | 32 |
| ფოლკირკი | 36 | 7 | 9 | 20 | 34:62 | 30 |
| ლივინგსტონი | 36 | 4 | 6 | 26 | 25:77 | 18 |

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის“
რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **4 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 6 | სიტი-არსენალი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 22:45 | 543 | სანდერლენდი-ფულემი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 541 | ლიდსი-პრესტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 15:15 | 542 | კრისტალ პალასი-უოტფორდი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 21 | ბლეკპული-ჯილინგემი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 18:00 | 22 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 18:00 | 23 | ბრედფორდი-ნოტინგემი | 3.50 | 3.40 | 1.90 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 18:00 | 24 | ჩესტერფილდი-სუონსი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 18:00 | 25 | ჰარტლპული-პორტ ვეილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 26 | ოლდემი-სკანთორპი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 27 | როტერპემი-დონსი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 28 | საუთენდი-ბრისტოლი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 29 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 30 | ტრანმერი-დონკასტერი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 31 | უოლსოლი-ბარნსლი | 3.70 | 3.40 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| 18:00 | 32 | იოვილი-კოლჩესტერი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 34 | როვერსი-მაკლსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 35 | ჩესტერი-შრიუსბერი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 36 | დარლინგტონი-რექსემი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 37 | გრიმსბი-ნორთჰემპტონი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 38 | ლინკოლნი-როჩდეილი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-ჩელტენემი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 40 | ნოტსი-ბერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 41 | ოქსფორდი-ლეიტონი | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 42 | პიტერბრო-უიკომბი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 18:00 | 43 | რაშდენი-ბარნეტი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 44 | სტოკპორტი-კარლაილი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 45 | ტორკი-ბოსტონი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 548 | ჰალიფაქსი-გრეისი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 549 | მორეკომბი-ჰერეფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 130 | აუსტრია-ტიროლი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 20:30 | 132 | გრაცერი-შტურმი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 20:30 | 133 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20:30 | 134 | რიდი-ადმირა | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:30 | 135 | ზალცბურგი-პაშინგი | 1.60 | 3.70 | 4.60 | 1.11 | 1.18 | 2.05 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 177 | ასკოლი-ლაციო | 2.95 | 2.40 | 2.90 | 1.32 | 1.46 | 1.31 |
| 17:00 | 178 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.10 | 7.00 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.03 |
| 17:00 | 179 | ინტერი-სიენა | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 17:00 | 181 | იუვენტუსი-პალერმო | 1.12 | 6.30 | 14.00 | 1.00 | 1.03 | 4.34 |
| 17:00 | 183 | ლეჩე-კიევო | 5.50 | 3.10 | 1.65 | 1.98 | 1.26 | 1.07 |
| 17:00 | 184 | ლივორნო-სამპდორია | 2.20 | 2.40 | 4.20 | 1.14 | 1.44 | 1.52 |
| 17:00 | 185 | მესინა-ემპოლი | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 17:00 | 186 | პარმა-მილანი | 10.00 | 4.60 | 1.25 | 3.15 | 1.11 | 1.00 |
| 17:00 | 188 | რომა-ტრევიზო | 1.10 | 7.00 | 16.00 | 1.00 | 1.02 | 4.86 |
| 17:00 | 190 | უდინეზე-კალიარი | 1.75 | 2.70 | 6.00 | 1.06 | 1.35 | 1.86 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 238 | რასინგი-რეალი | 4.10 | 3.30 | 1.80 | 1.82 | 1.25 | 1.16 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 253 | ალმერია-ალბასეტე | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
| 20:30 | 254 | კასტელონი-მურსია | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 21:00 | 256 | სპორტინგი-ეიბარი | 1.75 | 3.00 | 4.70 | 1.10 | 1.27 | 1.83 |
| 20:30 | 259 | ნუმანსია-ელჩე | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 20:30 | 261 | ტენერიფე-ლორკა | 2.40 | 2.80 | 2.95 | 1.29 | 1.32 | 1.43 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 255 | სიუდადი-ლევანტე | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 20:00 | 257 | ჰერკულესი-ეხიდო | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 21:00 | 258 | მალაგა ბ-უელვა | 3.70 | 3.00 | 1.95 | 1.65 | 1.27 | 1.18 |
| 14:00 | 260 | რეალი(ბ)-ტარაგონა | 2.65 | 2.80 | 2.65 | 1.36 | 1.32 | 1.36 |
| 20:00 | 262 | ვალიადოლიდი-ლეიდა | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 20:30 | 263 | სერესი-ფეროლი | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 522 | გრააფსხაპი-ტილბურგი | 4.60 | 3.30 | 1.65 | 1.92 | 1.21 | 1.10 |
| 22:00 | 523 | ვოლენდამი-ბრედა | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 334 | ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 20:00 | 335 | ანკარა-ტრაბზონი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 20:00 | 336 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 3.70 | 3.40 | 1.80 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| 20:00 | 337 | დიარბაქირი-გენჩლერი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 20:00 | 338 | ფენერბაჰჩე-ერჯიესი | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 20:00 | 340 | კაისერი-მანისა | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:00 | 341 | კონია-სივასპორი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 20:00 | 342 | მალათია-სამსუნი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 343 | რიზე-დენიზლი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **6 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 344 | ცსკა-ამკარი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 345 | კრილია-ტომსკი | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 16:00 | 346 | ლოკომოტივი-ზენიტი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 16:00 | 347 | როსტოვი-სატურნი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 348 | რუბინი-მოსკოვი | 1.80 | 3.20 | 3.95 | 1.15 | 1.23 | 1.76 |
| 16:00 | 349 | სპარტაკი-ტორპედო | 1.50 | 3.70 | 4.80 | 1.06 | 1.14 | 2.08 |
| 16:00 | 350 | ნალჩიკი-დინამო | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 16:00 | 351 | ენერგია-შინიკი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 373 | ოლბორგი-სილკებორგი | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 21:00 | 374 | ორჰუსი-ჰორსენსი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 21:00 | 375 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 21:00 | 377 | ესბიერგი-სიონდერიისკე | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:00 | 378 | ოდენსე-მიდტიულანდი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 379 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3.40 | 3.30 | 2.00 | 1.67 | 1.25 | 1.24 |

**ნორვეგია**
**ტიპელიგა**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 407 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3.45 | 3.30 | 1.95 | 1.68 | 1.24 | 1.22 |

**ნორვეგია**
**I დივიზიონი**
**6 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 415 | სოგნდალი-მოსი | 1.85 | 3.60 | 3.50 | 1.22 | 1.21 | 1.77 |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 416 | ტრომსდალენი-ლოვ ჰამი | 2.30 | 3.50 | 2.60 | 1.38 | 1.22 | 1.49 |
| 20:00 | 417 | ბოდიო გლიმტი-ფოლო | 1.30 | 5.00 | 6.50 | 1.03 | 1.08 | 2.82 |
| 20:00 | 418 | ალესუნდი-სპარტა ს | 1.32 | 5.00 | 6.30 | 1.04 | 1.09 | 2.78 |
| 20:00 | 419 | ბრინი-მანგლერუდი | 1.20 | 5.40 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.37 |
| 20:00 | 420 | ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.85 | 3.50 | 2.15 | 1.57 | 1.22 | 1.33 |
| 20:00 | 421 | კონგსვინგერი-ჰიონეფოსი | 2.40 | 3.50 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| 20:00 | 422 | პორს გრენლანდი-ჰიოდი | 1.90 | 3.50 | 3.40 | 1.23 | 1.21 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **4 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 453 | ჰაკა-ინტერი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 19:30 | 454 | კუოპიო-ლაჰტი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 19:30 | 455 | მიუპა-ტამპერე | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:30 | 456 | ტურკუ-ჰონკა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 457 | ვპს-მარიეჰამნი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მექსიკა**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 537 | მორელეა-პაჩუკა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |

**ჰოლანდია. თასი**
**7 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 509 | აიაქსი-პსვ | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

**ლიბერტადორესის თასი**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 531 | გოიასი-ესტუდიანტესი | 1.60 | 3.60 | 4.40 | 1.10 | 1.17 | 1.98 |
| 23:45 | 532 | ლიბერტადი-ტიგრესი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 533 | კორინთიანსი-რივერ პლეიტი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |

**კალათბურთი. იტალია**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 630 | როზეტო-რომა | 2.80 | 12.00 | 1.40 | 2.27 | 1.00 | 1.25 |
| 22:30 | 631 | კანტუ-ბენეტონი | 2.90 | 12.00 | 1.35 | 2.33 | 1.00 | 1.21 |
| 22:30 | 632 | ბიელა-ბოლონია | 2.20 | 12.00 | 1.60 | 1.85 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 634 | ლივორნო-ვარეზე | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 22:30 | 636 | კალაბრია-აველინო | 5.20 | 12.00 | 1.12 | 3.62 | 1.00 | 1.02 |

**კალათბურთი. ესპანეთი**
**4 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 603 | სან ფერნანდო-ხირონა | 1.65 | 12.00 | 2.10 | 1.45 | 1.00 | 1.78 |
| 22:30 | 605 | ალიკანტე-ტაუ | 2.20 | 12.00 | 1.60 | 1.85 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 607 | ბილბაო-ბრეოგანი | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| 22:15 | 608 | ბარსელონა-გრანადა | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |

## ფორმულა 1. 5 მაისი

13:00...... 1001 ......... გამარჯვებული კულტხარდი ..........80.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ვილნევი ..........55.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ბატონი ..........12.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ტრული ..........40.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ვებერი ..........29.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული როსბერგი ..........32.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული კლიენი ..........130.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული მასა ..........19.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული რ.შუმახერი ..........28.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული მონტოია ..........11.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ფიზიკელა ..........7.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული რაიკონენი ..........4.30
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული მ.შუმახერი ..........3.70
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ხაიდფელდი ..........65.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ლიუცი ..........120.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული სპიდი ..........200.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული მონტეირო ..........230.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ალბერსი ..........240.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული სატო ..........240.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული იდე ..........250.00
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ალონსო ..........2.30
13:00...... 1001 ......... გამარჯვებული ბარიკელო ..........27.00

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10006 | სიტი-არსენალი | 5.50 | 2.10 | 1.95 | 1.51 | 1.43 | 1.01 |
| 10238 | რასინგი-რეალი | 4.50 | 2.10 | 2.20 | 1.43 | 1.47 | 1.07 |
| 10543 | სანდერლენდი-ფულემი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11006 | სიტი-არსენალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11238 | რასინგი-რეალი | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11543 | სანდერლენდი-ფულემი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.80 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12006 სიტი-არსენალი ------------------- 1.70 -------- 1.90
12238 რასინგი-რეალი ------------------- 1.90 -------- 1.70
12543 სანდერლენდი-ფულემი ---------- 1.70 -------- 1.90

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13006 სიტი-არსენალი ------------------- 1.70 -------- 1.90
13238 რასინგი-რეალი ------------------- 1.70 -------- 1.90
13543 სანდერლენდი-ფულემი ---------- 1.70 -------- 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14006 სიტი-არსენალი ------------------- 2.50 -------- 1.30
14238 რასინგი-რეალი ------------------- 2.30 -------- 1.55
14543 სანდერლენდი-ფულემი ---------- 2.10 -------- 1.70

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | სიტი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | რასინგი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15543 | სანდერლენდი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16006 სიტი-არსენალი ------------------- 3.00 -------- 1.25
16238 რასინგი-რეალი ------------------- 2.40 -------- 1.35
16543 სანდერლენდი-ფულემი ---------- 2.10 -------- 1.50

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17006 სიტი-არსენალი ------------------- 1.85 -------- 1.95
17238 რასინგი-რეალი ------------------- 1.85 -------- 1.95
17543 სანდერლენდი-ფულემი ---------- 1.85 -------- 1.95

# ბრაზილიელების

ლოზანიდან, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციას სათავო ოფისიდან საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას ფაქსი მოუვიდა. მსოფლიოს ფრენბურთის მამები ქართველ კოლეგებს ატყობინებენ, რომ ბრაზილიელებს — რენატო გომესსა და ჟორჟი ტერსეიროს — უფლება აქვთ, საქართველოს სახელით ითამაშონ მსოფლიო ტურებზე. უკვე სამი თვეა, რაც რენატო და ჟორჟი საქართველოს მოქალაქეები გახდნენ და პეკინის ოლიმპიადისთვის პლაჟის ფრენბურთში ჩვენების მთავარ იმედად ითვლებიან. ისინი ახლა ბრაზილიაში არიან და ძალიან პრესტიჟული „ბანკო დე ბრაზილიის“ ტურნირზე თამაშობენ. მათ ბოლომდე გაქართველებას საერთაშორისო ფედერაციის თანხმობაღა სჭირდებოდა და ესეც მოხერხდა. ამიერიდან რენატოს და ჟორჟის წყვილი ქართული დროშით ითამაშებს.

გეორ



გია





გიორგი კვერნაძემ დაპირებული პრიზი ლევან ახვლედიანისგან მიიღო

**ერთიც**, როდესაც ბრაზილიელების „გაქართველება“ გადაწყდა, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ გამოაცხადა კონკურსი მათთვის ქართული მეტსახელების შესარჩევად. პლაჟის ფრენბურთში დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ მოთამაშეები რაგინდარა ტურნირებზე მეტსახელებით თამაშობენ. ერთი იტალიელი ფრენბურთელი ათენის ოლიმპიადაზე თავისი მექალთანეობის გამო „ამორის“ „ნიკით“ თამაშობდა, რაც ქართულად სიყვარულს ნიშნავს.

უამრავი ვარიანტებიდან ჩვენი ფრენბურთის ფედერაციამ ერთი შეარჩია: გიორგი კვერნაძის ვარიანტი ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. ასე რომ, რენატო და ჟორჟი ქართულად შესაბამისად ასე მოინათლნენ: „GEOR“ და „GIA“.

კვერნაძემ გამარჯვების სარგო პრიზი ბრაზილიელების ხელმოწერილი, პეკინის ოლიმპიადის ფრენბურთის ოფიციალური ბურთი, გუშინ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანისგან მიიღო საგანგებოდ მოწყობილი პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციაზე სხვაც ითქვა საინტერესო. ლევან ახვლედიანი: „ჩვენ და გაზეთმა „სარბიელმა“ ეს კონკურსი ერთობლივად ჩავატარეთ. ძალიან ბევრი და საინტერესო ვარიანტები მოგვივიდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ფრენბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება. რეკავდნენ რეგიონებიდინაც. რენატოს და ჟორჟის წყვილი ამიერიდან ქართული სახელებით ითამაშებს. აგვისტომდე ოთხი კონტინენტის ცამეტ ქვეყანაში მოუწევთ ჩასვლა. მათ უნდა ითამაშონ ჩინეთის, ხორვატიის, იტალიის, პორტუგალიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, საფრანგეთის, კანადის, რუსეთის, ავსტრიის, პოლონეთის, მექსიკისა და ბრაზილიის მსოფლიოს ტურებზე. რუსეთის ტური სანკტ პეტერბურგში ჩატარდება და, დარწმუნებული ვარ, ჩვენები მოიგებენ. მინდა, ქართული ღვინის რეკლამაში ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა და სასმისოდ მწარმოებელ კომპანიებს დაველაპარაკოთ. ყველა ქვეყანაში რენატომ და ჟორჟიმ ორ-ორი ბოთლი ქართული ღვინო რომ ჩაიტანონ, უკვე საქმეა. სანკტ პეტერბურგში კი, ვთხოვ, იქვე გახსნან ქართული ღვინო. ახლა 13 მაისს, კაცთა ნაკრები შვედეთს ეთამაშება. უცხოელი ჟურნალისტებიც იქნებიან და ჩაფიქრებული მაქვს, სტუმრებს თითო ბოთლი მაინც ვაჩუქოთ.“

ერთიც, ბრაზილიელების მეტსახელების ავტორმა, გიორგი კვერნაძემ სლოგანიც მოამზადა: „მიდი, გეორ, მიდი, გია, თქვენთან არის გეორგია.“

**ბაჩო სვანიძე**



# ფრანგები ქართველებს იაპონიაში არ უშვებენ

## ბორჯღალოსნები ალუბლების გასასინჯად მიდიან

**ორ დღეში** საქართველოს ნაკრები, იაპონიაში ჩაფრინდება რვადღიან და ორმატჩა ტურნირზე. 10 მაისს კიოტოში ჩვენები იაპონიის მეორე, ანუ „ა“ ნაკრებს ეთამაშებიან, 14 მაისს კი მათ ეროვნულ გუნდს ოსაკაში დაეჯახებიან. ცნობისთვის: იაპონიის ნაკრების მეტსახელი „მოყვავილე ალუბლებია“.

ეს ტურნე რაგბის საერთაშორისო საბჭომ გაუხერხა ჩვენებს, რაკი ქართველებთან ვალში იყო, შარშან ურუგვაის თბილისში ჩამოუსვლელობის გამო.

ტურნე ძალიან რომ წაადგებათ ჩვენებს, თქმა არ უნდა. იაპონიის ნაკრები აზიაში და, საერთოდაც, მაგრად ყოჩაღობს და ავსტრალიაში მსოფლიოს თასზე საქები გუნდიც ჩაიყვანა. თანაც მარტში, დიდთოვლობის გამო, 10 ივნისისთვის გადატანილი საერთათასო ჩეხეთი-საქართველოს მატჩამდე ბორჯღალოსნებს უქმობა უწევდათ, ახლა კი კუნთებს არ „გააცივებენ“ — პრაღაში ტურნეგავლილები ჩავლენ.

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა, მალხაზ ჭეიშვილის მეთაურობით, საიაპონიოდ ეს 25 რაზმელი შეარჩია: *ირაკლი აბუსერიძე, ოთარ ბარკალაია, გიორგი ჩხაიძე, დავით გასვიანი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, მამუკა გორგოძე, პალიკო ჯიმშელაძე, ავთანდილ კოპალიანი, გიორგი კუთარაშვილი, გიორგი კაჭარავა, გია ლაბაძე, ზვიად მაისურაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ბიძინა ამხარაძე, გიორგი შკინინი, გოდერძი შველიძე, თემურ სოხაძე, მიხეილ სუჯაშვილი, ბესიკ უდესიანი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ილია ზედგინიძე, დავით კაჭარავა, ირაკლი ნატრიაშვილი, რევაზ გიგაური.*

გადაწყვეტილია, რომ იაპონიაში ჩვენებს არ ეყოლებათ უკანა ხაზის საკვანძო მოთამაშეები: ფრანგული „ბეზიეს“ გარემარბი ირაკლი მაჩხანელი, „ბურგუენის“ შუამარბი ირაკლი გიორგაძე და იტალიური „როვიგოს“ მარდი მოიერიშე ბესიკ ხამაშურიძე. არ იქნებიან შერკინების ტვინად წოდებული აქვსენტი გიორგაძე და მთავარი გამწევი ძალა დავით ზირაქაშვილი. მათ თავიანთი ფრანგული კლუბები „კასტრი“ და „მონფერნი“ არ ათავისუფლებენ. საეჭვოა, მონფერანელივე გოდერძი შველიძისა და მოპელიელი მამუკა გორგოძის თამაში, მათაც კლუბებთან აქვთ პრობლემა.

**ბაჩო სვანიძე**







ქართულ ჭიდაობას გია ჯიქია უპატრონებს

# ქართული ჭიდაობა პრეზიდენტიანად ეკურთხა

„თბილისელი ვარ, სამბისტი ვიყავი, თუმცა სერიოზული წარმატებები არ მქონია. მყავს მეუღლე და ერთი ვაჟი. ადრე კომპანია „ბორჯომში" ვმუშაობდი ფინანსურ დირექტორად, ახლა კომპანია „კასტელი-საქართველოს" კომერციული დირექტორი გახლავართ" — ასე გაეცნო ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატი გია ჯიქია ფედერაციის აღმასკომის წევრებს.

გუშინ სპორტის დეპარტამენტში ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალი თავკაცი აირჩიეს — გია ჯიქია — ვინც აქამდეც თანამშრომლობდა ფედერაციასთან და წელიწადზე მეტია სპონსორობს კიდეც. ახალი პრეზიდენტის არჩევა საჭირო გახდა „მოჭიდავეთა საქმედ" წოდებული, გახმაურებული ამბის შემდეგ. აწ უკვე პრეზიდენტყოფილი, ძიუდოისტი ალექსი დავითაშვილი, ფულის გამოძალვის ბრალდებით იხდის სასჯელს.

კაცმა რომ თქვას, აღმასკომის წევრებს კითხვებით არც შეუწუხებიათ ახალი თავკაცი. ერთსულოვნად აუფრიალეს მანდატები და ფედერაცია გია ჯიქიას ოთხწლიანი ვადით ჩააბარეს.

გია ჯიქია: „როდესაც კომპანია „კასტელმა" გადაწყვიტა, ქართულ სპორტს დახმარებოდა, ორი სახეობა შევარჩიეთ — რაგბი და ქართული ჭიდაობა. არჩევანი ამათზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ ორივე სახალხო და წარმატებული სახეობაა. პირველ ეტაპზე მწვრთნელებს დავუნიშნავთ ხელფასებს, საქართველოს ყველა რაიონში ჭიდაობის ერთი წრე მაინც უნდა გავხსნათ, ჩავატაროთ ტურნირები, აღვადგინოთ ტრადიციები. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება ფინანსურ საკითხში აქაც დამეხმარება — ფედერაცია ფეხზე დადგება."

ბოლოს ბოლნისის რაიონიდან, სოფელ ცურტავის სამონასტრო კომპლექსის მღვდლებმა აკურთხეს ახალი პრეზიდენტი და დარბაზში მყოფნი. ეს იმიტომ, რომ ქართული ჭიდაობის ფედერაციას ავი რაიმე აღარ დაემართოს. სასულიერო პირებმა ერთი ამბავიც გააცხადეს: ყოველ 6 მაისს, გიორგობას, ცურტავში ქართული ჭიდაობა გაიმართება და ამას „ცურტაობა" დაერქმევაო.

**ბაჩო სვანიძე**



სროლა

# პოლიცია სროლას აპირებს

დღეს სახელისუფლებო წრის მორიგი წარმომადგენელი შეითავსებს სპორტულ საქმიანობას. ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე და ოპერატიული დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან მხეიძე სროლის ფედერაციას ჩაიბარებს. რიგგარეშე არჩევნების ჩატარებასა და პრეზიდენტ ვახტანგ ქუთათელაძის გადარჩევაზე ხმები კარგა ხნის წინ დაირხა. მის სავარაუდო შემცვლელად კულუარებში ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი სახელდებოდა, თუმცა როგორც გუშინ საღამოს შევიტყვეთ, მხეიძის გაპრეზიდენტება უკვე თითქმის გადაწყვეტილი ამბავი ყოფილა. მსროლელების რიგგარეშე ყრილობა სპორტის დეპარტამენტში დღეს, 12 საათზე გაიმართება.



საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. ნახევარფინალი

# 18:0=2:2

## ფინალში სუპერფინალის გავლით

3 მაისი. ვერის ბაღი

სტუ 2:2 შევარდენი

**სტუ 83:88 ავიამშენი**

*12:25 24:20 22:25 25:18*

**სტუ:** მიქაძე (10), ხეცურიანი (17), კეიდია (11), შანიძე (16), მათიაშვილი (6); ლოსაბერიძე (14), კვიმსაძე (3), გაგნიძე (2), მურჯიკნელი (4), ნინუა, ახალკაცი
**ავიამშენი:** ტულუში (6), ხოშტარია (23), ბ. ბერიშვილი (12), მინაშვილი (21), როდუმტა (6); ნიკოლაძე (14), მარკოიშვილი (6)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ირაკლი პერტაია**

„ავიამშენისა" და სტუ-ს ნახევარფინალური სერია რომ იწყებოდა, კალათბურთში ჩახედულ ხალხს ასეთი კითხვა გაუჩნდა: ავიატორები სერიას დაუმარცხებლად გაივლიან, თუ ტექნიკოსები ერთი თამაშის მოგებას მაინც მოახერხებენო? რა მშრალი ანგარიში, რის 3:0, ამ გუნდების ჯახი გადამწყვეტ მატჩს მიადგა — ანუ ფინალისტის ვინაობა ეგრედ წოდებულმა სუპერფინალმა უნდა გამოავლინოს.

ის კი არა, გუშინდლამდე ტექნიკოსები 2:1 იგებდნენ და ფინალამდე ერთი გამარჯვებაღა აკლდათ, მაგრამ ვინ დაანება. გუშინდელი „ავია" — სტუ-ს შედეგი ალბათ ყველაზე იოლად გამოსაცნობი იყო ამ პლეი ოფში, რაკი რეგულარული ჩემპიონატის მომგები და ამ წყვილში ულაპარაკო ფავორიტად მიჩნეული „ავიამშენი" რომ ფინალის საგზურს ცოცხალი თავით არ დათმობდა, ყველას კარგად მოეხსენებოდა.

ერთხელაც გავიხსენოთ ტექნიკოსთა თავკაცის „სიბრძნე", რომელიც მან თავის შეგირდებს სერიის დაწყებამდე უთხრა: ჩააგდებს „ავიამშენის" ლიდერი ირაკლი ხოშტარია 15 ქულაზე ნაკლებს, გავიმარჯვებთ, არადა, წაგება არ აგვცდებაო. ნუგზარ ჭეიშვილის ეს სიტყვები წინა მატჩისა იყო, ახლაც გამართლდა. ხოშტარიამ მაშინ 7 ქულა მოიმკო და სტუ-მაც იმარჯვა, გუშინ კი მის ანგარიშზე 23 დაგროვდა და ახლა „ავიამშენს" დარჩა გამარჯვება.

თუმც მხოლოდ ხოშტარია არ იყო სტუ-ს მარცხის მიზეზი. ავიაორებმა გუნდური ძალისხმევით დაამარცხეს ტექნიკოსები, მაგრამ „ხოშტარასთან" ერთად ვახტანგ მინაშვილის წვლილიც ფასდაუდებელია.

მინაშვილმა ამ მატჩის ანგარიში საჯარიმოდან გახსნა, მაგრამ მისი ღვაწლი მერე და მერე უფრო გამოჩნდა, როცა „ავიამშენი" ტექნიკოსთა წინააღმდეგობას წააწყდა.

სტუ-ს ფორვარდებმა მინაშვილის საჯარიმოს 6 ქულით უპასუხეს და ჭეიშვილის გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა — 6:1. აი, ამ დროს გათამაშდა ის ეპიზოდი, რამაც ბევრისთვის ნათელი გახადა ამ თამაშის მომგების ვინაობა. ამ ჩამორჩენამ „ავიამშენზე" ისე იმოქმედა, რომ რამდენიმე წუთით ევროპული დონის გუნდად გადაიქცა და სტუ-ს ელეთმელეთი მოუწყო.

18:0... ერთი გუნდი მეორეს ასე რომ გაექცევა, იქ ყველაფერი გარკვეულია. სწორედ ასეთი გამანადგურებელი შტურმი მოუწყო „ავიამშენმა" ტექნიკოსებს. ვახტანგ მინაშვილმა, ბუბა ბერიშვილმა და ირაკლი ხოშტარიამ რაგინდარა გემოვნების ბურთები ჩაყარეს. ისინი ისე დაცურავდნენ სტუ-ს დაცვაში, როგორც თევზი წყალში და ლიდერობაც, თანაც 13-ქულიანი, „ავიამშენმა" მოიპოვა — 19:6.

ტექნიკოსებს ამ შტურმის შემდეგ კარგა ხანი დასჭირდათ გამოსაფხიზლებლად. „ავიამშენმა" ინერციით განაგრძო ქულების ხვეჭა და მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე 20 ქულითაც გალიდერდა — 35:15.

სტუ-მ დაცვა გაამაგრა, მაგრამ ჩვეულად ზონაში კი არ ჩადგა, პრესინგის ზღვარზე, მთელ მოედანზე დასდევდა ბურთიან მოწინააღმდეგეს. ამით ტექნიკოსებმა „ავიამშენს" შეცდომებისკენ უბიძგეს და ანგარიშმაც ლღობა იწყო. ირაკლი კეიდიას სამქულიანს შიო ხეცურიანმა საჯარიმოები მიაბა და ახლა სტუ-მ მოაწყო გაქცევა, მაგრამ, ცხადია, ვერა „ავიამშენის" 18-ქულიანის დარი. 10:2 გალაღებამ სტუელებს სხვაობა 12 ქულამდე შეამცირებინა და ტაიმის მიწურულს იმედებიც ჩაუსახა. ლაშა ლოსაბერიძისა და ზვიად მიქაძის ქულებმა ტექნიკოსების ჩამორჩენა 10-ქულიან ზღვარს ჩამოაცილა — 36:45.

დიდი შესვენების შემდეგ იმავ ლოსაბერიძისა და ლუკა შანიძის ყოჩაღობამ თითქმის გააბათილა „ავიატორთა" ოდინდელი 20-ქულიანი უპირატესობა — 41:45 — მაგრამ სწორედ აქ აბობოქრდა ვახტანგ მინაშვილი, რომელიც ფარქვეშეთშიც ბოგინობდა და სტუ-ს კალათს საშუალო დისტანციიდანაც არ აკლებდა ბურთებს. როცა მინაშვილს გიორგი ნიკოლაძეც წაეშველა, ავიატორთა ლიდერობა კვლავ ასცდა 10-ქულიან ზღვარს, გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი მოსეშვილის გუნდი 70:58 იგებდა.

ჩემპიონობაზე მონადირე „ავიამშენი" ბოლო ათწუთეულში ამხელა უპირატესობას რომ აღარ გაანიავებდა, ალბათ თავად სტუ-ელებმაც უწყოდნენ, მაგრამ მათ მაინც გადადეს თავი და მეტოქეს უკანასკნელი ძალებით შეუტიეს.

კარგა ხნის უქმობის შემდეგ მოედანზე გამოჩენილი გიორგი გაგნიძე მანამ არიგებდა საორქულე პასებს, სანამ ავიატორებმა საგანგებოდ არ ამოკეტეს და ტექნიკოსებს თავის გადასარჩენად სამქულიანებიღა დარჩათ. აქ კი ლუკა შანიძემ ერთხელაც გამოავლინა სნაიპერული თვისებები, 20 წამში ორი სამიანი ჩააგდო, მაგრამ ეს ქულები მხოლოდ თამაშისათვის ინტრიგის ბოლო წუთამდე შესანარჩუნებლად გამოდგა და მეტს ვეღარ გასწვდა.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა, გადამწყვეტი მატჩი კი ხვალ 16 საათზე ვერის ბაღში გაიმართება.



სტუ-ელ რიჩარდ მათიაშვილს ავიამშენელებმა ალყა შემოარტყეს

2006 NBA Playoffs

# პლეი ოფი ქართულად

## ცქიტიშვილმა მოედანზე ფეხი შედგა და გამოდგა



2 მაისი

### აღმოსავლეთი

#### მაიამი 3:2 ჩიკაგო

**მაიამი 92:78 ჩიკაგო**

**მაიამი:** ვეიდი (28), უოლკერი (17), ონილი (16 ქულა, 10 მოხსნა)
**ჩიკაგო:** ნოჩიონი (23 ქულა, 10 მოხსნა), სვიტნი (16)

ამ კატათაგვობანასავით სერიაში მეხუთე მატჩი ჩათამაშდა და ესეც მასპინძელს დარჩა. „მაიამი" 3:2 დაწინაურდა და თუ მაინცდამაინც შინაურ, ანუ მეშვიდე თამაშამდე არ სურს საქმის გაჭიანურება, ჩიკაგოში მეექვსე თამაშზე თავგამოდება უნდა იკადროს.

არადა, 2 მაისს მთელ თუ არა, ნახევარ მაიამს მაინც გადაუქანდა გული, როცა პირველ ტაიმში ძირს გართხმული დუეინ ვეიდი იხილა. ფლორიდელთა ჯეელმა პირველმექულე დაეცა, თეძო დაიშევა და სასწრაფოდ გასახდელში გააქანეს, ეგებ რამე ვუშველოთ და მოედანზე შევაბრუნოთო.

უშველეს, ითამაშა, დაამარცხა! სწორედ ვეიდმა და არა შაკილ ონილმა ულიდერა „მაიამის" და ერთ მოგებამდე მიაახლოვა მეორე რაუნდს. ონილი კი ეხმარებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი მოთამაშე და 16 ქულაც მიაშველა უკვე ყველა პარამეტრით გუნდის ლიდერს. 17 გაახერხა ანტუან უოლკერმა, ვისაც თამაშამდე ერთი დღით ადრე მეექვსე შვილი შეეძინა.

#### ნიუ ჯერსი 3:2 ინდიანა

**ნიუ ჯერსი 92:86 ინდიანა**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (34 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), ჯეფერსონი (24), კრსტიჩი (19 ქულა, 11 მოხსნა), კიდი (5 ქულა, 15 პასი, 6 მოხსნა)
**ინდიანა:** ონილი (19), ჯონსონი (14), ჯონსი (14), ჯეკსონი (13)

„ინდიანამ" დაკარგა რონ არტესტი, მის მაგივრად შეძენილი პრედრაგ სტოიაკოვიჩი კი მუხლნატკენი უზის სკამზე, მაგრამ ეს გუნდი მაინც არ ინცხვენს თავს და ფავორიტ „ნიუ ჯერსის" მისი ყოველი დამარცხება ნერვებისა და ენერგიის ბოლომდე დახარჯვის ფასად უჯდება.

ახლაც ინდიანელებმა ბოლომდე მისდიეს მასპინძლებს და შემდეგლა დაუშვეს ფარ-ხმალი, როცა ნიუჯერსელმა ვინს კარტერმა მთელ „ინდიანას" თავზე გადაუფრინა და ბურთიანი ხელით დააცხრა მათ კალათს.

### დასავლეთი

#### სან ანტონიო 3:2 საკრამენტო

**სან ანტონიო 109:98 საკრამენტო**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (27), დანკანი (24), პარკერი (21), ბოუენი (16)
**საკრამენტო:** ველსი (38 ქულა, 12 მოხსნა), პრტესტი (24)

საკრამენტოში წყვილი მარცხი მანუ ჯინობილიმ პირად დანაშაულად ჩათვალა და სერიის მეხუთე თამაშშიც მოედანზე იმ მოტივაციით გავიდა, ჩემი დამწვარი მევე უნდა ავფხიკოო. პირად დუელში მას ახლაც არაფერი გამოუვიდა, არც რონ არეტსტთან და არც ამ პლეი ოფში გადარეულ ბონზი ველსთან, მაგრამ შეტევაში კი გაუძლვა „სან ანტონიოს", რომელიც გაცილებით კომბინაციურად და მრავალფეროვნად ბურთაობდა, ვიდრე ორი კაცის შოუს დამსგავსებული „საკრამენტო".

სტუმრები ყველაზე მეტად გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ დაალალატა, ვისი ქულებიც ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ საკრამენტოელ „მეფეებს", რაკი მათი მეფარეები — ტომასი და მილერი ტიმ დანკანის ტორებში უმწეოდ ფართხალებდნენ და მოგებაზე კი არა, თავის არშერცხვენაზე ფიქრობდნენ. მაგრამ, თავის მხრივ, ბიბიც დადნა და დაიჩაგრა „სან ანტონიოს" ფრანგ გამთამაშებელ ტონი პარკერის დევნაში. მოკლედ, ჩემპიონთაგან ყველას წაუვიდა მეტოქის ნახევარზე თამაში, თვით დაცვის სპეციალისტმა და შეტევაში ბალასტმა ბრიუს ბოუენმაც კი, 16 ქულა გაახერხა.

#### ფინიქსი 2:3 ლეიკერსი

**ფინიქსი 114:97 ლეიკერსი**

**ფინიქსი:** ნეში (22), ბელი (11), ჯონსი (9), მარიონი (21), დიაუ (25 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი); ტ. ტომასი (13), ბარბოსა (11), ბერკი (2), ჰაური, **ცქიტიშვილი** (1 წუთი, 0 ქულა)
**ლეიკერსი:** პარკერი (5), ბრაიანტი (29), უოლტონი (9), ოდომი (18 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), ბრაუნი (14); კუკი (9), ტურიაფი (8), ჯორჯი (5), ვუიჩიჩი, ჯეკსონი, მაკკი

„ფინიქს სანზს" წინა შეხვედრებშიც ასე ყოჩაღად რომ ებურთავა, „ლეიკერსი" უკვე დამარცხებული ეყოლებოდა, ახლა კი 1:3 ჩამორჩენის დაძლევა უწევს. ერთი წაგება გააბათილა, ხოლო დანარჩენებსაც მოიგებს თუ არა, ესეც საკითხავია. უსაქმოდ ხომ არც ლოსანჯელესელები დგანან?! კობი ბრაიანტი არა მხოლოდ კალათისკენ შლის ხელს, მას იდაყვით მეტოქის ფერდის მოსინჯვაც შეუძლია და ეს ვერ გამოაპარა მსაჯებს. მეორე მეოთხედში მან ფინიქსელი ოპონენტი რაჯა ბელი დააიდაყვა, რაზეც პასუხიც მიიღო, ამ კინკლაობით კი ორივემ ტექნიკური გამოიმუშავა.

თამაშის გმირი „ფინიქსის" ფრანგი ფორვარდი ბორის დიაუ გახდა, ვისაც ამ თამაშზე გადასცეს სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი და მანაც 25 ქულით, 10 მოხსნითა და 9 პასით აღნიშნა ეს ამბავი.

და ერთიც: „ფინიქსის" თავკაცმა მაიკ დანტონიმ წუთით ათამაშა ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილი, რითაც ნიკა პირველი ქართველი შეიქნა, პლეი ოფი სიმბოლურად მაინც რომ დააჭაშნიკა. თუმც ცქიტიშვილს დიდად არ გამოუჩენია თავი. ამ ერთ წუთში, ერთი სამქულიანი ტყორცნა, ისიც უზუსტოდ და ბურთის დაკარგვაც მოასწრო.

**კოტე ყორშია**




ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ [illegible] ფოტო

# თანხმობამ დუმილი იცის

## ალბერტ კუზილოვი: ახალი ქართველი

*მესამე დღეა, პოლონეთის ქალაქ ვლადისლავოვოში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. საქართველოს ნაკრების ერთმა წევრმა, 56-კილოგრამიანმა ზვიად სამუკაშვილმა, უკვე მოასწრო ფიცარნაგზე გასვლა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. ხვალ შტანგას რაულ ცირეკიძე (85 კგ) ასწევს. ხოლო ზეგ — არსენ კასაბიევი და ალბერტ კუზილოვი (ორივე 94 კგ). ამ უკანასკნელის საქართველოს სახელით გამოსვლაზე ბოლო სიტყვა რუსეთის ძალოსნობის ფედერაციას ამ დღეებში უნდა ეთქვა. ორი წლის წინ კუზალოვი მათ ღირსებას იცავდა. გუშინ ვანო გრიქუროვს პოლონეთში შევეხმიანეთ და პირველ რიგში სწორედ კუზილოვის ამბავი გვახარა:*

— თითქმის გადაწყვეტილია, ალბერტი 6 მაისს საქართველოს სახელით გავა ფიცარნაგზე. რუსებს ამის შესახებ უკვე ვესაუბრეთ და არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ. თუ პრობლემის შექმნა უნდოდათ, აქამდე შეგვიქმნიდნენ.

— თავად კუზილოვი როგორ ფორმაშია?

— საკმაოდ კარგადაა, მაგრამ ოპტიმალურ ფორმამდე მაინც უკლია. ორი წლის წინ ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის სახელით ბრინჯაოს მედალი რომ აიღო, ახლა ნამდვილად იმაზე უკეთესადაა.

— 94 კილოგრამში პოლონეთში მის გარდა არსენ კასაბიევიც გამოვა. შეიძლება კვარცხლბეკისთვის ორმა ჩვენებურმა იბრძოლოს?

— კუზილოვი ტურნირს B ჯგუფიდან დაიწყებს და მედლის ნაკლები შანსი ექნება. B ჯგუფში მოხვდა რაულ ცირეკიძეც (85 კგ). ზვიად სამუკაშვილი უკვე გამოვიდა A-ში, კასაბიევი კი შაბათს გამოვა.

— არსენს ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა. ჩემპიონატისწინა შეკრებაზე მოასწრო სასურველი ფორმის აკრეფა?

— უკვე თითქმის უახლოვდება. ვნახოთ, ტურნირზე რას იზამს.

— 18 წლის სამუკაშვილის მეშვიდე ადგილით ალბათ კმაყოფილი დარჩით...

— პირიქით. თავისი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენის საშუალება რომ ჰქონოდა, ვერცხლის მედალს აიღებდა. ხელი ავადმყოფობამ შეუშალა, აწონვის შემდეგ მოიწამლა.

— 132-კილოგრამიანი შტანგის აკვრის შემდეგ 138 ველარ ასწია, მაგრამ მესამე ცდაზე 142 შეუკვეთეთ. ზედმეტი რისკი ხომ არ გასწიეთ?

— ზვიადს 142 კილოგრამი იქამდე აწეული რომ არ ჰქონოდა, ასე არც მოვიქცეოდით. აკვრაში უფრო ძლიერია, ვიდრე ატაცში. ორჭიდში კი მისი პირადი რეკორდი 250 კილოგრამია. გულგატეხილი დარჩა, მაგრამ არა უშავს, ჯერ 18 წლისაა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



NHL

# პლეი ოფი 2006

2 მაისი

### აღმოსავლეთი

#### კაროლინა 4:2 მონრეალი

**მონრეალი 1:2 კაროლინა**

*1:1 0:0 0:0 0:1*

1:0 სურეი (7), 1:1 რეკი (8), 1:2 სტილმანი (62)

#### ბუფალო 4:2 ფილადელფია

**ფილადელფია 1:7 ბუფალო**

*0:3 1:3 0:1*

0:1 გრირი (12), 0:2 კოტალიკი (18), 0:3 როი (20), 1:4 პომინვილი (24), 0:5 აფინოგენოვი (28), 1:5 რადივოევიჩი (39), 1:6 დრური (40), 1:7 დრური (54)



# ბარსელონამ ენის მოსაჩლექი კიჭები მოიცვალა, კბილები აქვს, საჩემპიონო!



AFP



AFP



AFP

## ესპანეთი
პრიმერადივიზიონი XXXVI ტური
სელტა 0:1 ბარსელონა
ბილბაო 1:0 სარაგოსა
ატლეტიკო 0:1 ოსასუნა
კადისი 2:2 სოსიედადი
ალავესი 2:0 ბეტისი
ესპანიოლი 1:2 დეპორტივო
მალიორკა 2:1 ვალენსია
სევილია 3:0 ხეტაფე
ვილიარეალი 2:1 მალაგა

## საფრანგეთი
პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები
ოსერი 1:2 მარსელი
რენი 1:1 პსჟ

## ჰოლანდია
ერედივიზიონი. ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი
გრონინგენი 2:1 *აიაქსი* (0:2)
უეფას თასის პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი
*ჰერენვენი* 5:0 ტვენტე (1:0)
ინტერტოტოს თასის პლეი ოფი. ფინალი საპასუხო მატჩი
ნაიმეგენი 1:2 *ვიტესი* (0:0)

## გერმანია
ბუნდესლიგა. XXXII ტური
ბაიერნი 3:1 შტუტგარტი
დუისბურგი 3:5 ვერდერი
აინტრახტი 2:2 კაიზერსლაუტერნი
შალკე 3:1 არმინია
ვოლფსბურგი 0:3 მაინცი
II ბუნდესლიგა. XXXII ტური
ალენი 1:2 ფიურტი
კოტბუსი 0:0 დინამო
ჰანზა 1:2 ფრაიბურგი
კარლსრუე 7:0 ბრაუნშვაიგი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი
ჰამბურგი (მ) 3:4 ესენი
სამხრეთ რეგიონალლიგა XXIX ტური
ტრირი 1:1 აუგსბურგი
რეგენსბურგი 0:0 კობლენცი
აალენი 3:2 ჰოფენჰაიმი

## შვეიცარია
სუპერლიგა. XXXIV ტური
აარაუ 1:1 შაფჰაუზენი
გრასჰოპერი 1:0 იანგ ბოისი
სენტ გალენი 1:0 ქსამაქსი
თუნი 1:3 ციურიხი
ივერდონი 1:3 ბაზელი
ჩელენჯლიგა. XXXII ტური
იუვენტუსი 1:5 ლუცერნი
ბელინცონა 1:2 სიონი
კონკორდია 1:3 ლოზანა
კრინსი 0:2 ლოკარნო
შო დე ფონი 1:1 ვინტერთური
ლუგანო 4:1 მეირინი
ვილი 2:0 ვადუცი
ვოლენი 1:1 ბადენი

## დანია
I დივიზიონი. XXIII ტური
ბრიონსჰიოი 0:3 კოლდინგი
ფრემადი 2:1 ბრაბრანდი
ლიუნგბიუ 2:2 ფრედერისია
აკადემისკი 2:1 ჰერფიოლგე
ფრემი 2:0 რანდერსი
კიოგე 0:0 ჰელერუპი
სკიოლდი 2:1 ნიკიობინგი

## სლოვენია
I ლიგა. XXX ტური
ნოვა გორიცა 2:0 დომჟალე

## არგენტინა
კლაუსურა. XVII ტური
ინსტიტუტო 2:1 კოლონი

## იაპონია
ჯეი ლიგა. XI ტური
კოფუ 1:3 ტოკიო
ფუკუოკა 1:2 კავაზაკი
კაშიმა 0:1 ოიტა
კიოტო 1:1 ნიიგატა
შიმიცუ 1:0 სერეზო
იჩიჰარა 2:0 ურავა
ომია 0:1 ჰიროშიმა
ნაგოია 1:1 იოკოჰამა

## შვედეთი
ალსვენსკა. VI ტური
ჰამარბი 2:0 აიკ
მალმიო 1:0 ჰალმსტადი
იორგრიტე 0:2 ელფსბორგი
სუპერეტა. III ტური
ლანდსკრონა 2:0 ნორჩიოპინგი
სუნდსვალი 0:1 იორებრო

## სლოვაკეთი
I ლიგა. XXXI ტური
რუჟომბეროკი 3:1 პუხოვი
ბანსკა ბისტრიცა 2:0 ნიტრა
ინტერი 0:2 დუბნიცა
პეტრჟალკა 1:2 ჟილინა
ტრენჩინი 1:0 ტრნავა

## ნორვეგია
ტიპელიგა. V ტური
მიოლდე 0:2 ბრანი
სანდეფიორდი 2:2 ლინი
სტარტი 0:0 ფრედრიკსტადი
ტრომსიო 0:0 ოდ გრენლანდი
ვოლერენგა 1:0 ვიკინგი
ჰამ კამი 1:2 ლილესტრიომი

## უნგრეთი
თასის ნახევარფინალი საპასუხო მატჩი
*ფეჰერვარი* 2:2 დებრეცენი (1:0)

## ბულგარეთი
თასის ნახევარფინალი
ცსკა 4:1 ნაფტექსი
შუმენი 1:2 ჩერნო მორე

## რუმინეთი
პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი
სტიაუა 1:0 პანდურიი

## სერბეთი
პრვა ლიგა. XXIX ტური
ბორაცი 1:1 ოფკა
ბუდუჩნოსტი (ბ) 1:1 ჰემოფარმი
ბუდეჩნოსტი (პ) 2:0 იედინსტვო
ჰაიდუკი 3:1 ზეტა
ობილიჩი 0:2 პარტიზანი
რადი 0:2 სარტიდი
ვოზდოვაცი 1:2 ზემუნი
ცრვენა ზვეზდა 3:1 ვოივოდინა

## ინგლისი
პრემიერლიგა გადადებული მატჩი
ბოლტონი 1:1 მიდლსბრო

## შოტლანდია
პრემიერლიგა XXXVII ტური
სელტიკი 2:0 კილმარნოკი
ჰართსი 1:0 აბერდინი
ინვერნესი 2:0 ფოლკირკი
ლივინგსტონი 0:1 მოზერუელი

## პოლონეთი
თასის ფინალი საპასუხო მატჩი
პლოცკი 3:1 ზაგლებე (3:2)

## ხორვატია
თასის ფინალი საპასუხო მატჩი
ვარტექსი 5:1 რიეკა (0:4)

## იტალია
თასის ფინალი. I მატჩი
რომა 1:1 ინტერი

## ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა გადადებული მატჩი
ბანიკი 1:1 ბრნო

## თურქეთი
თასის ფინალი
ფენერბაჰჩე 23დდ. (2:2) ბეშიქთაში

## რუსეთი
თასის ნახევარფინალი პირველი მატჩები
ცსკა 1:0 ზენიტი
სპარტაკი 1:1 სატურნი


იყიდება საუკეთესოდ მოწყობილი ტოტალიზატორი საბურთალოზე (მუშა მდგომარეობაში)
ტელ. 899-44-64-84

## წამალი „სალხინო“
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge